პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 4 (11008)
ქვირა
5
იანვარი
1958 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ფართოდ გავაჩაღოთ საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებიდან (1-ლი გვერდი).

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის წინ. — **ს. ჭოჩლაძე.** — ავამაღლოთ რაიკომის ინსტრუქტორის როლი (მე-2 გვერდი).

ვ. გელაშვილი. — თბილისს საქალაქო მეურნეობის მტკივნეული საკითხები (მე-2 გვერდი).

ი. ცერცვაძე, ე. ლომაძე, დ. პაიჭაძე. — სტუდენტთა კვება უნდა გაუსწორესდეს (მე-2 გვერდი).

ოთარ ჩეჩელაშვილი. — [illegible] ზე (მე-3 გვერდი).

ი. ტაბაღუა. — [illegible] (4-ე გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სკოლა-ინტერნატებს — მუშობლიური ზრუნვა!

„ბარისახოს სკოლა-ინტერნატში ჭიანურდება ძირითად და დამხმარე ნაგებობათა რემონტი, სივიწროვეა საძინებელ ოთახებში, არაფერი ეშველა აბანოსა და სამრეცხაოს გამართვას, სახელოსნოების მოუწყობლობის გამო გვეშლება პოლიტექნიკური სწავლება.

მასწავლებელი ი. ნაუეური“.

არა ერთი და ორი ასეთი წერილი მოსდის ჩვენი გაზეთის რედაქციას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოწყობილი სკოლა-ინტერნატებიდან. ეს დამაფიქრებელი ამბავია.

რესპუბლიკაში ეს-ეს არის მოიდგეს ფეხი ამ ახალი ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო-აღმზრდელობითმა დაწესებულებებმა, რომელთა კეთილშობილური მიზანია ყოველმხრივ განვითარებულ, კომუნიზმის შეგნებულ მშენებელთა აღზრდა. ცხადია, ჯერ მათ დიდ პრეტენზიებს ვერ წავუყენებთ, მაგრამ ამ საქმეში ნაკლოვანებებს როდი უნდა შევეგუოთ.

ინტერნატებში ყველაზე ხელსაყრელი პირობები უნდა იყოს აღსაზრდელთა ზოგადი და პოლიტიკური გათვითცნობიერებისათვის, მათში მაღალი მორალური თვისებების ჩამოყალიბებისათვის, კარგი ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდისათვის, რომ კურსდამთავრებული, გასცილდება თუ არა სკოლის კედლებს, მზად იყოს თავი გაართვას მინდობილ პრაქტიკულ დავალებებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

შეძლებენ თუ არა ჩვენი სკოლა-ინტერნატები ამ საპატიო ამოცანის გადაწყვეტას? უეჭველია, შეძლებენ. მაგრამ დღესდღეობით ისინი მაინც ვერ დგანან მოწოდების სიმაღლეზე.

სკოლა-ინტერნატებში თანმიმდევრულად უნდა ხორციელდებოდეს სწავლისა და საწარმოო საქმიანობის შერწყმა, სკოლის მჭიდრო კავშირი შრომასთან. აღსაზრდელები იქ იძენენ თვითმმართველობის ჩვევებს, სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში, საცდელ ნაკვეთებზე, საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში თუ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში იწრთობიან ცხოვრების ფართო გზაზე გამოსასვლელად.

პირველი რიგის აუცილებლობაა დღის რეჟიმის სწორი ორგანიზაცია, რაციონალური კვების მოწყობა, მოსწავლეებში ჰიგიენური ჩვევების დახერგვა, მათი სხეულის გაკაჟება, ესთეტიკური აღზრდა. ყველაფერი ეს შესაფერ პირობებს ითითხოვს.

ინტერნატების აღმზრდელ-პედაგოგთა კოლექტივები ძალღონეს არ იშურებენ, რომ წარმატებით გაართვან თავი ამ მეტად საპატიო, პასუხსაგებ ახალ საქმეს, მაგრამ მარტო მათი მეცადინეობა ვერ დაძლევს სიძნელეებს.

უკანასკნელ ხანს კოჯრისა და ბეთანიის სკოლა-ინტერნატების მუშაობაში იგრძნობა გამოცოცხლება, მეტი გულისხმიერება მოსწავლეთა ყოფაცხოვრების მიმართ: უკეთ მოეწყო კვება, სანიტარული მომსახურება, პირსაბანოთახებში საპნის, კბილის ფხვნილისა და ჯაგრისის შესანახად გაკეთებულია თაროები ინდივიდუალური უჯრებით, ეზოში, სასწავლო და დასაძინებელ კორპუსებში დადგეს ურნები, გოგონების განკარგულებაშია ჰიგიენის ოთახები, მოსწავლეებისათვის შენობაში გამოყვეს დასასვენებელი ადგილები, სადაც ტელევიზორიც აქვთ. მაგრამ ეს მხოლოდ წვეთია ზღვაში. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სარემონტო კანტორა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დამთავრებას აყოვნებს, ეზო კვლავ შემოუღობავი რჩება, ასფალტი დაუგებელი, მინები ჩამტვრეული, ჭერი დაზიანებული.

ბეთანიაში თუნუქის ღუმელებისათვის საჭირო მილების უქონლობის გამო სკოლის ოთახებს ვერ ათბობენ, მოსწავლეებს აკლიათ თბილი ტანსაცმელი, პერანგები, ამიტომ მათ ზამთრის პირობებშიც მოკლესახელოიანი მაისურების ჩაცმა უხდებათ. აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე ინტერნატში ერთ ჩაცმულობას ვერ შენიშნავთ — ზოგი აღსაზრდელი ჯერ კიდევ ოჯახიდან წამოღებულ ტანსაცმელს ატარებს.

დასაზუსტებელია სკოლა-ინტერნატების დღის რეჟიმი. აქ ზოგიერთი მომენტი ერთნაირად არის გათვალისწინებული უფროსი და უმცროსი კლასებისათვის. მიუხედავად ერთგვარი გაუმჯობესებისა, სერიოზული ნაკლოვანებებია სასწავლო-აღმზრდელობითს საქმიანობაშიც. კოჯრის ინტერნატის არც ერთი აღმზრდელი პედაგოგიური დაკვირვების დღიურს არ ადგენს, ზოგს კი, როგორც ჩანს, ყოველდღიური გეგმაც ზედმეტად მიაჩნია. ბევრი მათგანი იშვიათი სტუმარია თავისი აღსაზრდელებისა გაკვეთილებზე, პრაქტიკულ მეცადინეობაზე. მასწავლებელ ა. დარბინიანის მომზადების დაბალი დონის წყალობით ბეთანიაში ჩამორჩება პოლიტექნიკური სწავლება. ნაკლოვანებებს ისიც ართულებს, რომ აგერ რამდენი ხანია სკოლა არსებობს და მისი შენობიდან ვერ იქნა, ვერ გამოიყვანეს კერძო პირი, რომელსაც 18 კვადრატული მეტრი ფართობი უჭირავს — სკოლა კი უამისოდაც საკმაო სივიწროვეს განიცდის.

ამას წინათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს ის სერიოზული ნაკლოვანებები, რაც ხელს უშლის ინტერნატებს გაამართლონ ხალხის წინაშე თავიანთი საპატიო მოწოდება.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სამშენებლო, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის სამინისტროებს, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს, მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ზეთა მთავარ სამმართველოს ამოცანად უსახავენ მიიღონ გადამჭრელი ზომები რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების კეთილმოწყობისა და კულტურული ცხოვრებისათვის, რომ თვითეულმა აღსაზრდელმა თავი იგრძნოს როგორც მშობლის ალერსით გამთბარ საკუთარ ოჯახში და გაიზარდოს, დავაკაცდეს ამაგდარი სამშობლოსადმი დიდი სამსახურისათვის.

ახალი წლის პირველი დღეები საწარმოებში

ფართოდ გავაჩაღოთ საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება

★

ახალი საწარმოო მაჩვენებლებით

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა გასული წლის დავალება ათი დეკემბრისათვის შეასრულა და გეგმის გადაჭარბებით შეაკეთა ხუთი ორთქლმავალი, ექვსი სამგზავრო ვაგონი და ათასობით მანეთის სათადარიგო ნაწილები.

ახალი სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე ქარხნის კოლექტივი ენთუზიაზმით შეუდგა საწარმოო დავალების შესრულებას. საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დადგნენ საამქროებისა და განყოფილებების მოწინავე მუშები და წარმატებებს აღწევენ. 2 იანვარს ლითონსამსხმელო საამქროს კოლექტივმა 25 ტონა თუჯის და 2 ტონა თითბრის სხმული გამოუშვა.

მექვაბეებმა, რომლებმაც გასულ წელს გეგმის გადამეტებით 7 ქვაბი შეაკეთეს, 2 იანვარს შეკეთებიდან გამოუშვეს ქვაბი № 678-56. ამ სამუშაოს შესასრულებლად ყრილობის და არჩევნების აღსანიშნავ შრომითს ვახტზე იდგნენ მემილე შ. აბრამიშვილის, მეორმატურე ვ. რუშეტოვის, მექვაბე მ. აბუაშვილის ბრიგადები. მათ ერთ დღეში სამი დღის ნორმა შეასრულეს. ისინი ამუამად 1961-62 წლის ანგარიშში მუშაობენ.

მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწია ორთქლმავალამწყობი საამქროს მექვაბე ლ. მარგიშვილის ბრიგადამ, რომელსაც მეექვსე ხუთწლედის მესამე წლის დავალება პირველი იანვრისათვის ჰქონდა შესრულებული.

მოწინავეებს არც მევაგონეები ჩამორჩნენ. 2 იანვარს ვაგონამწყობი საამქროს ახალგაზრდა დურგალთა ბრიგადამ, რომელსაც შ. სულუაშვილი ხელმძღვანელობს, ერთ ცვლაში მთლიანად დასრულა სადურგლო სამუშაოები სამგზავრო ვაგონზე.

ჩარჩო-ძარის შემკეთებელი საამქროს მოწინავე ზეინკალი გ. დათუაშვილი სამ სპეციალობას ფლობს. 2 იანვარს, დადგა რა ყრილობის და არჩევნების აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, მან სამი დღის ნორმა შეასრულა.

მეექვსე ხუთწლედის მესამე წელს ქარხანაში გათვალისწინებულია საწარმოო პროფილის შეცვლა. ითვისებულ უნდა იქნას მოტორავაგონსაკეთების და საელმავლო გოგორწყვილების შეკეთება. ამასთან ქარხნის კოლექტივმა ნ მილიონი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია უნდა მისცეს რკინიგზის ტრანსპორტს, ვიდრე გასულ წელს მისცა.

ქარხნის კოლექტივი ახალი სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე თავდადებით შრომობს გაზრდილი ამოცანების სასახელოდ შესრულებისათვის.

ი. ბოლქვაძე,

საქარხნო გაზეთ „ჩვენი საყვარის“ რედაქტორი.



რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოს — თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ქარხნის მოწინავე ზეინკალი დ. ფერაძე ბაება საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ყოველდღიურ საწარმოო დავალებას 200-250 პროცენტით ანაღდებს.

სურათზე: კომკავშირელი დ. ფერაძე მუშაობს თეოდოლიტის შეკეთებაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ელექტრომავალმშენებლები შრომის ტემპს აძლიერებენ

თბილისის ელექტრომავალმშენებელი ქარხნის კოლექტივი დიდი შრომითი ენთუზიაზმით შეუდგა მიმდინარე წლის საწარმოო გეგმის შესრულებისათვის ბრძოლას. წელს აქ, გარდა ძველი ელექტრომავლების საშუალო და კაპიტალური შეკეთებისა, უნდა ააწყონ და სახელმწიფოს მისცენ 16 ახალი მძლავრი ორსექციანი მაგისტრალური ელექტრომავალი „ნ-8“.

როგორც ცნობილია, საწარმომ უკვე გამოუშვა ერთი ასეთი ელექტრომავალი, რომელიც ძირითადად დამონტაჟებულ და აგებულ იქნა ნოვოჩერკასკის ელექტრომავალმშენებელი ქარხნიდან მიღებული ელექტროაპარატურითა და მანქანებით. მიმდინარე წელს ქარხნის კოლექტივს სერიოზული ამოცანა აქვს დასახული. მან უნდა აითვისოს მთელი რიგი დასახელების მოწყობილობა იმ ვარაუდით, რომ ამ მოწყობილობის ნაწილს მიაწოდებს ნოვოჩერკასკელებს კოოპერირების წესით.

ქარხნის კონსტრუქტორები უკვე შეუდგნენ გათვალისწინებული ელექტროაპარატურისა და მანქანების ასაშენებლად საჭირო მოწყობილობისა და სამარჯვების დაპროექტებას.

სამანქანო საამქროს კოლექტივმა წარმატებათ აითვისა ახალი ელექტრომავლისათვის საჭირო მოტორკომპრესორის ძრავის წარმოება. გარდა ამისა, აქ ათეულ ცალობით დაამზადებენ წევის ძრავებს, მოტორგენერატორებსა და სხვა დანადგარებს.

მაღალი შრომითი მაჩვენებლებით დამთავრა გუშინდელი საწარმოო დღე საპარატო საამქროს კოლექტივმა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ელექტროზეინკალმა რ. გეგელიამ, რომელმაც ნაცვლად 15 ცეცხლჩამქრობი ხვიისა დააბა 30.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებიდან

სსრ კავშირის კონსტიტუციის 34 მუხლისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 24 და 26 მუხლების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა შეიქმნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების 731 საარჩევნო ოლქი, აქედან

საქართველოს სს რესპუბლიკაში:

654. თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქი **(ცენტრი — ქალაქი თბილისი, სტალინის რაისაბჭო).** ქალაქ თბილისის რაიონები: ლენინის, სტალინის, ოქტომბრისა, თიანეთის სასოფლო რაიონი.

655. თბილისის კალინინის საარჩევნო ოლქი **(ცენტრი — ქალაქი თბილისი, კალინინის რაისაბჭო).** თბილისის რაიონები — 26 კომისრის სახელობის, კიროვის, კალინინისა და გარეუბნისა.

656. თბილისის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი **(ცენტრი — ქალაქი თბილისი, ორჯონიკიძის რაისაბჭო).** ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონი და სასოფლო რაიონები: დმანისის, დუშეთის, ყაზბეგის, მცხეთის, თეთრი წყაროსი და წალკისა.

657. რუსთავის საარჩევნო ოლქი **(ცენტრი — ქალაქი რუსთავი).** ქალაქი რუსთავი და რაიონები: ბოლნისის, გარდაბნის, კაჭრეთის, მარნეულის, საგარეჯოსი და წითელწყაროსი.

658. სოხუმის საარჩევნო ოლქი **(ცენტრი — ქალაქი სოხუმი).** აფხაზეთის ასსრ.

659. ბათუმის საარჩევნო ოლქი **(ცენტრი — ქალაქი ბათუმი).** ქალაქი. ბათუმი და რაიონები: ბათუმის, ქედის, ქობულეთის, ხულოს, მახარაძისა და შუახევისა.

660. ფოთის საარჩევნო ოლქი **(ცენტრი — ქალაქი ფოთი).** ქალაქი ფოთი გარეუბნებით და რაიონები: ზუგდიდის, მესტიის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობისა და ცხაკაიასი.

661. სამტრედიის საარჩევნო ოლქი **(ცენტრი — ქალაქი სამტრედია).** რაიონები — სამტრედიის, გეგეჭკორის, აბაშის, წულუკიძის, ლანჩხუთის, ვანისა და ჩოხატაურისა.

662. ქუთაისის საარჩევნო ოლქი **(ცენტრი — ქალაქი ქუთაისი).** ქალაქი ქუთაისი და რაიონები: ქუთაისის, ლენტეხის, ცაგერის, ამბროლაურის, ტყიბულის, ონისა და წყალტუბოსი.

663. ზესტაფონის საარჩევნო ოლქი **(ცენტრი — ქალაქი ზესტაფონი).** ქალაქი ჭიათურა და რაიონები: თერჯოლის, ზესტაფონის, ჭიათურის, ორჯონიკიძის, მაიაკოვსკისა და საჩხერისა.

664. ბორჯომის საარჩევნო ოლქი **(ცენტრი — ქალაქი ბორჯომი).** რაიონები: ბორჯომის, ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და ხაშურისა.

665. გორის საარჩევნო ოლქი **(ცენტრი — ქალაქი გორი).** ქალაქები გორი, სტალინირი და რაიონები: გორის, სტალინირის, ლენინგორის, ზნაურის, ჯავის, ქარელისა და კასპისა.

666. გურჯაანის საარჩევნო ოლქი **(ცენტრი — ქალაქი გურჯაანი).** რაიონები: ლაგოდეხის, სიღნაღის, ყვარლის, თელავის, გურჯაანისა და ახმეტისა.

საქართველოს სს რესპუბლიკამ თამბაქოს დამზადების წლიური გეგმა შეასრულა

ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ფართოდ ნერგავენ რა წარმოებაში თამბაქოს მოყვანის პროგრესულ წესებს, საქართველოს მეთამბაქოეობის რაიონების კოლმეურნეებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მექანიზატორებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა ორი თვით ადრე შეასრულეს 1957 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადების წლიური გეგმა.

გეგმით გათვალისწინებული 16 ათასი ტონის ნაცვლად დამზადებულია 16.016 ტონა თამბაქო, რაც შეადგენს 100,1 პროცენტს.

დიდი წარმატება მოიპოვეს აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებმა, რომლებიც საქართველოს ძირითადი მეთამბაქოეობის მეურნეობანი არიან. უნარიანად გამოიყენეს რა წარმოების არსებული რეზერვები, მათ მოიყვანეს უხვი მოსავალი და გეგმით გათვალისწინებული 7.500 ტონის ნაცვლად დაამზადეს 8.720 ტონა საუკეთესო ჯიშის თამბაქო. თამბაქოს დამზადების წლიური გეგმა აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ 116 პროცენტით შეასრულა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გულრიფშის რაიონის მეთამბაქოეებმა, რომლებმაც დაამზადეს 2.289,3 ტონა თამბაქო, გაგრის რაიონის მეთამბაქოეებმა — 1.696 ტონა, ოჩამჩირის რაიონის მეთამბაქოეებმა — 1.460 ტონა.

აჭარის ასსრ კოლმეურნეობებმა გეგმით გათვალისწინებული 1.400 ტონის ნაცვლად დაამზადეს 1.406 ტონა თამბაქო.

გადაჭარბებით შეასრულეს გეგმა ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც დაამზადეს 3.230 ტონა თამბაქო.

რაიონები, რომლებმაც წლიური გეგმები შეასრულეს, განაგრძობენ თამბაქოს დამზადებას. (საქდესი).

პროექტები მეტყველებენ

წითელი დარბაზი — ასე ეწოდება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის შენობაში ერთ-ერთ ოთახს. ცხრაასხუთი წლის რევოლუციის ბოროკარ დღეებში ცარიზმის დამჭაშებმა ჩვენი წინაპრების, ნათელი მომავლისათვის მებრძოლი ადამიანების სისხლით შეღებეს ამ დარბაზის კედლები... ჩვენს დროში კი აქ ისახება ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვის გეგმები.

გუშინ ნაშუადღევს ამ დარბაზში მოდიოდა ასობით თბილისელი, რათა საკუთარი თვალით ეხილათ ახალი საცხოვრებელი რაიონის დაგეგმარება-განაშენიანების პროექტები.

საქართველოს გული — თბილისი ჩრდილოეთით დიღმისა და დელისის მინდვრებისაკენ გაიჭრა. ქალაქის გენერალური გეგმის თანახმად საბურთალო წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საცხოვრებელ რაიონს, როგორც გეოგრაფიული მდებარეობით, ისე სიდიდით. ძველი და ახალი საბურთალოს ტერიტორია 725 ჰექტარია, ეს კი 100 ჰექტარით აღემატება ქალაქის ორ სხვა რაიონს, ერთად აღებულს. ამ გრცელი ტერიტორიიდან 300 ჰექტარი უკაცრიელია.

ახალგაზრდა არქიტექტორთა კოლექტივმა არქიტექტორების ა. ბაქრაძის, დ. გრძელიძის, ი. ყაველაშვილის და პროექტის მთავარი არქიტექტორის შ. ყაველაშვილის მონაწილეობით შეადგინა საბურთალოს ახალი საცხოვრებელი რაიონის დაგეგმარება-განაშენიანების პროექტი, რომელიც გადაიღო ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა.

დარბაზში პროექტის ავტორებიც არიან, რომლებსაც დამთვალიერებლები უამრავ კითხვას აძლევენ. შოთა ყაველაშვილი პროექტის ყოველ კუნჭულს ჩაპკირკიტებს, ხოლო გვერდით მოთავსებულ მაკეტთან ჯმუხი, მოხდენილი ვაჟაცი დავით გრძელიძე დგას. მათი პასუხები ამომწურავია, თითქოს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც რამდენიმე წლის წინათ დაამთავრეს, გამოსაშვები კომისიის წინ იდგნენ და თავიანთ სადიპლომო ნაშუშევარზე პროფესორს უპასუხებდნენ.

— საბურთალოზე, აგურის ქარხნის დასავლეთით, იქმნება ახალი საცხოვრებელი რაიონი, — ამბობენ ისინი, — ჩვენი პროექტის მიხედვით 300 ჰექტარი უკაცრიელი ფართობიდან 100 ჰექტარს მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობებისათვის განკუთვნილი კვარტალები დაიკავებს. ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის კი მთის ფერდობებზე, სადაც მრავალსართულიანი სახლების მშენებლობა არ არის მოსახერხებელი, 40 ჰექტარია გამოყოფილი. დანარჩენ ტერიტორიას დაიკავებს კეთილმოწყობილი ქუჩები, სანერგე და სხვა ობიექტები.

აი ეს ლურჯი წრე, რომელსაც მინა აქვს დაფარებული, ხომ ხედავთ, — ლაპარაკობს დავითი, — ტბაა, რომელიც კულტურისა და დასვენების დიდ პარკში ილივლივებს. ამავე პარკში იქნება დახურული საცურაო აუზი, კეთილმოწყობილი სტადიონი, ესტრადა და სხვ. მთლიანად ახლად ათვისებულ ტერიტორიაზე 400.000 კვადრატულ მეტრ საბინაო ფართობში იცხოვრებს 45.000-მდე ადამიანი. აშენდება 8 კეთილმოწყობილი საშუალო სკოლა 920 მოსწავლისათვის სტადიონებთან და სათამაშო ბაქნებით, საბავშვო ბაღები და ბაღები, 2 კინოთეატრი, კლუბი, საარაონო ბიბლიოთეკა, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, მექანიკური სამრეცხაო და აბანო, სავაჭროები, დიდი საარაონო უნივერმაღი, სადილოები, საკოლმეურნეო ბაზარი და სხვა დაწესებულებანი.

ახალ კვარტალში მოეწყობა აგრეთვე გამწვანებული ტერიტორია მოქალაქეთა სასეირნოდ და დასასვენებლად, ცალკე ტერიტორია სასპორტო ბაქნებითა და სათამაშო მოედნებით, ფანჩატურები და აუზები, გარაჟები კერძო მანქანებისათვის. სკოლები და საბავშვო დაწესებულებანი საცხოვრებელი კვარტალის ტერიტორიიდან გადატანილ იქნება.

გამოფენაზე აგრეთვე წარმოდგენილია 26 კომისრის რაიონის ახალი საცხოვრებელი რაიონის დაგეგმარება-განაშენიანების პროექტი, რომლის ავტორები არიან არქიტექტორები ნოდარ მიქაძე და მერი ჯაფარიძე.

ეს პროექტები მიძღვნილია თბილისის დაარსების 1500 წლისთავისადმი.

ბ. ბაბტურიძე.



გედნიერებას ვუსურვებ შრომის ადამიანებს

მაჰმუდ ეივაზოვი,

ორდენ „კომკავშირელის“ კოლმეურნე.

ჩემთვის 1958 წელი განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი: მე 150 წლისა გავხდები.

ბედნიერნი არიან ჩემი თანამოქალაქენი, რომლებიც ხაბეთის მიწაზე დაბადებენ. მათთვის უცნობია აზერბაიჯანის რევოლუციამდელი სოფლის უსიხარულო ცხოვრების სიმძიმე. ბედნიერნი არიან ისინიც, ვინც მას შემდეგ იხილა ჩვენი ახალი ცხოვრება, რაც ეს წარსული განცდა. 112 წლისა რომ ვიყავი, მას შემდეგ, რაც ბევრი მწუხარება და გაჭირვება განვიცადე, თითქოს ხელახლა დავიბადე! დიახ, ახალი სიცოცხლე დაიწყო ჩემთვის მას შემდეგ, რაც ჩვენს მთა სოფელშიც, ისევე როგორც მთელ აზერბაიჯანში, საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა.

ახალწლის ღამეს ჩემ სახლი სტუმრებით აივსება. მოვლენ და მომილოცავენ შვილები, შვილიშვილები, შვილიშვილთა შვილები და შვილიშვილთა შვილიშვილები. რამდენი მყვანან? კიდევაც მიკირს გიპასუხოთ. ძალიან ბევრნი არიან!

მომივა ახალწლის ბევრი მოლოცვა მსოფლიოს ყველა კუთხიდან — მეგობრებისაგან, რომელთაგან ბევრი გავიცანი მოსკოვში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. კიდევ უფრო მეტი არიან ისეთი ადამიანები, რომლებთანაც მეგობრობა წერილებით დამყარდა. ხომ ძალიან ბევრს აინტერესებს, როგორ ვიცოცხალე საუკუნენახევარი. მწერენ საბჭოთა ქვეყნის ყველაზე შორეული კუთხეებიდან, ჩინეთიდან, ინდოეთიდან, ამერიკიდან, ინგლისიდან, რუმინეთიდან, პოლგარეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან... რა ვუპასუხო ამ მეგობრებს? მხურვალედ ვულოცავ ახალწლის დღესასწაულს ჯეძანის პროვინციის სოფელ ჯენსის ჩინელ პიონერებს, რომლებმაც ამას წინათ ძალიან გულთბილი წერილი გამომიგზავნეს. ვულოცავ ალბულა ჰამადის, რომელიც ხელს აწერს ინდოეთიდან გამოგზავნილ წერილს. საახალწლო სალამს ვუძღვნი ოეევსკში ალექსი სტეფანეს-ძე პონომარიოვს, რომელთანაც უკანასკნელ ხანს მუდმივი მიწერ-მოწერა მაქვს. ბედნიერებას ვუსურვებ კრასნოდარის მხარის სტანიცა უდობნაიას კოლმეურნეს ვ. კ. კრავჩენკოს, რომელმაც 1957 წელს სტუმრად მიმიწვია დიდი ოქტომბრის მეორმოცე წლისთავის დღესასწაულზე. ჩემი საახალწლო სალამი დინა ბორისოვას — იაროსლავლის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტს. ამას წინათ ეს ქალიშვილი მწერდა: „თქვენი საუკუნოვანი შრომა აღგვაფრთოვანებს ჩვენ, ახალგაზრდობას, და ჩვენ მთელ ძალღონეს მოვახმართ იმ საქმეს, რომელსაც თქვენი ხანგრძლივი სიცოცხლე შესწირეთ“.

რა შემძლია ახალი ვაცნობო მათ ჩემს შესახებ? კარგად ვცხოვრობ, ცოტ-ცოტას კიდევ ვშრომობ კოლმეურნეობაში, და კვლავ ჩვენი ბავშვები „ახალგაზრდა მოხუცს“ მეძახიან. ჩვენი კოლმეურნეობა სულ მდიდრდება.

მალე დავბინავდები ახალ სახლში, რომელსაც მშობლიური სახელმწიფო მიშენებს. მონაწილეობას ვიღებ რაიონული საბჭოს მუშაობაში, რომლის დეპუტატად თანასოფლელებმა უკანასკნელი არჩევნების დროს ამირჩიეს. მიხარია, ძვირფასო მეგობრებო, ჩემი და თქვენი ბედნიერება, გისურვებთ თქვენ და ჩემ თავს კიდევ მრავალ წელს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, სიმხნევეს და სიხარულს.

სოფელი პირასურა,
ლერიკის რაიონი,
აზერბაიჯანის სსრ.

(გაზეთი „სელსკოე ხოზიაისტვო“, 1/I).

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის წინ

ავამაღლოთ რაიკომის ინსტრუქტორის როლი

დიდი ადგილი დაეთმო ყვარლის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხებს, იმას, თუ რა შედეგი გამოიღო რაიონული პარტიული აპარატის სტრუქტურის გარდაქმნამ, უგანყოფილებოდ მუშაობამ.

— პარტიული აპარატის რეორგანიზაციამ, — თქვა მომხსენებელმა — რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ავაზაშვილმა, — განყოფილებების გაუქმებამ უზრუნველყო ის, რომ ახლა პარტიული ორგანიზაციები უფრო ოპერატიულად წყვეტენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებს, უფრო ქმედითად ავლენენ და იყენებენ ადგილებზე არსებულ რეზერვებს.

წინათ რაიკომის ინსტრუქტორები პარტიულ ორგანიზაციებში თვეობით ვერ ახერხებდნენ მისვლას, ხოლო თუ მივიდოდნენ, მაშინაც საქმიანი დახმარების ნაცვლად მხოლოდ ცნობების შეკრებით კმაყოფილდებოდნენ. ამჟამად მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა, უგანყოფილებოდ მუშაობის პირობებში ინსტრუქტორები პარტიულ ორგანიზაციებში უფრო ხშირად არიან და პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებს პრაქტიკულად ეხმარებიან ბევრი ისეთი საკითხის სწრაფად გადაწყვეტაში, რომლებსაც ძველებურად მუშაობის პირობებში თვეები დასჭირდებოდა.

პარტიული ხელმძღვანელობის წარმოებასთან მიახლოებამ დადებითი გავლენა მოახდინა სამეურნეო საქმიანობაზე. წინა წელთან შედარებით 1957 წელს შვიდი პროცენტით შემცირდა იმ შრომისუნარიან კოლმეურნეთა რიცხვი, რომლებსაც შრომადღეების დაწესებული მინიმუმი არა აქვთ გამომუშავებული. 1957 წელს 1956 წელთან შედარებით საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია სამი ცენტნერით მეტი მარცვლეული, მათ შორის სიმინდი — 29 ცენტნერი გეგმით გათვალისწინებული 21 ცენტნერის ნაცვლად. წველადობის წლიური დავალება შესრულებულ იქნა ვადაზე თვენახევრით ადრე.

თავის გამოსვლაში რაიკომის ინსტრუქტორმა გ. დათუაშვილმა კონფერენციის მონაწილეებს მოუთხრო იმაზე, თუ როგორ აწყობს იგი ახლებურად მუშაობას.

— წინათ, — თქვა მან, — მუშაობაში გაუპიროვნება იყო. ხშირად ერთ კოლმეურნეობაში ერთდროულად სამი ინსტრუქტორი მივდიოდით: ერთი პარტიულ საქმიანობას ამოწმებდა, მეორე საოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობაზე იღებდა ცოფრებს, ხოლო მესამე შრომის ორგანიზაციის მდგომარეობას არკვევდა. შემდეგ ყველა ეს მასალა რაიკომში მიგვქონდა დადგენილებების შესამუშავებლად, ხოლო ადგილზე მდგომარეობა უცვლელი რჩებოდა. ამჟამად კი რაიკომის თვითეული ინსტრუქტორი მიმაგრებულია გარკვეულ უბანზე, რომელიც პარტიული ორგანიზაციების განსაზღვრულ რაოდენობას მოიცავს. ჩემს საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ დადებითი გამოცდილების შესწავლას და განზოგადებას. ბალოჯიანის კოლმეურნეობამ წელს ჰექტარზე 114 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. ახალსოფლისა და მთისძირის კოლმეურნეობათა მევენახეებს აგიტატორების საშუალებით დაწვრილებით ვაცნობთ ბალოჯიანელთა მიღწევებს, რათა ამ კოლმეურნეობებშიც გადიდდეს ყურძნის მოსავლიანობა.

მაგრამ როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, პარტიის რაიკომის ზოგიერთი ინსტრუქტორი კვლავ ძველებურად მუშაობს. ასეთია, მაგალითად, პ. წიკლაური. არც გ. ფირანიშვილი და ლ. ანასაშვილი მუშაობენ დამაკმაყოფილებლად.

დელეგატთა გამოსვლებიდან გამოირკვა, რომ ცალკეულ კოლმეურნეობებში საკმაო ყურადღება არ ექცევა მევენახეობის განვითარებას. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ვაზის სიმეჩხერე 25-30 პროცენტს აღემატება. ვენახების სამუშაოები დაგვიანებით და დაბალხარისხოვნად სრულდება. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ გასულ წელს ყვარლელმა კოლმეურნეებმა ყურძნის მოსავლიანობის დავალება ვერ შეასრულეს.

— ვენახების სამუშაოები, — თქვა შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. აღნიაშვილმა, — ძირითადად პრიმიტიული წესით წარმოებს, მექანიზმებით სამუშაოს მხოლოდ 20 პროცენტი სრულდება. ენისლის მანქანა-ტრაქტორთა სადგურს „კდ-35“ მარკის ტრაქტორები არ ჰყოფნის, არ არის ცხენის გუთნები, ვენახის შესაწამლი აპარატები და ა. შ. ნ. აღნიაშვილმა და ყვარლის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორმა ი. მესტვირიშვილმა გააკრიტიკეს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ცეკავშირი და საქსოფლმომარაგება იმისათვის, რომ ისინი შეუწყნარებლად აჭიანურებენ სოფლად მექანიზმების და ვაზის დაავადებათა საწინააღმდეგო მედიკამენტების გაგზავნას.

კონფერენციაზე ნაკლებად იყო გაშლილი ნაკლოვანებათა პრინციპული კრიტიკა. დელეგატებს მწვავედ არ გაუკრიტიკებიათ პარტიის რაიკომის მუშაობა.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ვ. პეტრიაშვილი, რომელმაც ილაპარაკა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე.

* * *

შედგა ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ა. ავაზაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. ი. დიასამიძე, მდივნად — ამხ. გ. ზაუტაშვილი.

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



თბილისი დღეს. გმირთა მოედნის ხედი ვ. ი. ლენინის სახელობის ქუჩიდან.
ფოტო ხ. ონანოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

აბრეშუმის ქსოვილების მუზეუმში

ოთახის კედლებზე წყება-წყებად ჩამოფენილია სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ქსოვილები. თვითეულ მათგანს თავისი არტიკული აწერია. აქვე მაგიდაზე სქელტანიანი ალბომები აწყვია. მხოლოდ მათში ფოტოსურათების ნაცვლად ქსოვილების ნაჭრებია ჩაწყობილი.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საასორტიმენტო კაბინეტში ხშირად ნახავთ ფაბრიკის მხატვრებს, დესენატორებს. ისინი სავაჭრო ორგანიზაციებიდან გამოგზავნილი თუ ფაბრიკის მიერ მოწყობილი გამოფენების შთაბეჭდილების წიგნებს ათვალიერებენ, მყიდველთა მოთხოვნებს ეცნობიან, გასული წლების ალბომებში ჩაკრულ ქსოვილებს სინჯავენ.

კაბინეტში შეგიძლიათ ფაბრიკის მიერ გამოშვებული ქსოვილების მთელ ისტორიას გაეცნოთ, ნახოთ თვით საწარმოს ზრდის მაჩვენებლები. აი ის ქსოვილები, რომლებსაც ჯერ კიდევ 20 წლის წინათ უშვებდნენ. აქვე კითხულობთ, რომ ფაბრიკა არსებობის პირველ წელს უშვებდა 2,5 მილიონ მეტრ აბრეშუმს. ამჟამად მომხმარებელს აწვდის 18 მილიონ მეტრზე მეტ მაღალხარისხოვან ქსოვილს.

საასორტიმენტო კაბინეტში, ამ თავისებურ მუზეუმში განსაკუთრებით დიდი ადგილი აქვს დათმობილი იმ ახალი ქსოვილებისა და ქსოვილთა მხატვრული სურათების გამოფენას, რომლებსაც ფაბრიკა მიმდინარე წელს გამოუშვებს. ახალი ქსოვილებიდან აღსანიშნავია მამაკაცის საპერანგე, ქალის ზედატანის, სასარჩულე ახალი სახის ქსოვილები. აქვეა 500 სხვადასხვა შეფერილობის ქსოვილები.

გასულ წელს აბრეშუმის ქსოვილების მუზეუმის ბაზაზე ქ. ბრიუსელში 1958 წლის მსოფლიო გამოფენისათვის ფაბრიკამ გაგზავნა როგორც ნატურალური, ისე ხელოვნური აბრეშუმის 23 ნიმუში, მათ შორის ქართული ორნამენტებით მოხატული თავშლები. თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ქსოვილები გაიგზავნა აგრეთვე თურქეთში, ავსტრიაში, იუგოსლავიასა და ბულგარეთში.

ამჟამად კაბინეტის მუშაკები არჩევენ ქსოვილების ახალ სახეებს სოფიაში გასაგზავნად.

ლ. ხუბულური,

* * *

სურათზე: აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მოწინავე მხატვარი ა. ნარიმანიშვილი (მარჯვნივ) საასორტიმენტო კაბინეტში მუშაობს ქართული ორნამენტით თავშლის მოხატვაზე, მარცხნივ დგას საქონელმცოდნე თ. მღვდელაძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სტუდენტთა კვება უნდა გაუმჯობესდეს

„კომუნისტის“ რეიდი

★

მოსწავლე ახალგაზრდობის, სტუდენტების აღზრდის საქმეში მცირე როლს როდი ასრულებს მათი კვების სწორი ორგანიზაცია. ჩვენს ქვეყანაში სტუდენტთა და მოსწავლეთა კვების სანიმუშოდ დაყენებისათვის ყოველგვარი პირობა არსებობს. იქ, სადაც მონდომებით იბრძვიან ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის მოწესრიგებისათვის, შედეგიც კარგია. სანიმუშოდ დაყენებულია მოსწავლეთა კვების საქმე, მაგალითად, ბათუმის სპეციალურ სახელოსნო სასწავლებელში, № 2, 10, 12 სკოლებში.

სამწუხაროდ, ასე როდი ითქმის ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებულ სტუდენტთა სასადილოსა და ზოგიერთ სასკოლო ბუფეტზე. შეიძლება ითქვას, რომ ამ სასადილოში (გამგე გ. ჩხარტიშვილი) თითქმის მთლიანად მოუწესრიგებელია სტუდენტთა კვება და იგი მიხიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

უხეშად ირღვევა სტუდენტთა სასადილოში საქონლის სავალდებულო სასორტიმენტო მინიმუმი. ნაცვლად ოთხი დასახელების პირველი კერძისა, ზოგჯერ ჰყიდიან მარტო ერთს, ხოლო მეორე კერძების 13 დასახელებიდან — 7-ს.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელთან არსებულ ბუფეტში. არადამაკმაყოფილებელია ამ ბუფეტის პროდუქტებით მომარაგების საქმე. აქ იყიდება მხოლოდ ჩაი, ერთი სახის ძეხვი და კარაქი, მაშინ როდესაც სტუდენტები მოითხოვენ იაფფასიან ბოსტნეულის, თევზისა და ხორცის ცხელ კერძებს.

ბათუმის სასადილოების ტრესტის ხელმძღვანელობა სუსტად იბრძვის სასადილოსა და ბუფეტის საჭირო პროდუქტებით მომარაგებისათვის. ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ კვების ეს საწარმოები სისტემატურად არ მარაგდებიან სარდელით, თევზით, რძის პროდუქტებით, ბოსტნეულით. სასადილოს ხელმძღვანელობა არ იღებს საჭირო ზომებს ყველა იმ პროდუქტის მომარაგებისათვის, რომლებიც საკმაო რაოდენობით აქვს ტრესტის ცენტრალურ საწყობს. მაგალითად, შემოწმებისას სასადილოსა და საერთო საცხოვრებლის ბუფეტებში არ აღმოჩნდა ფუნთუშეული, ბლიინები, მინერალური წყლები და სხვ., რაც საწყობში საკმაო რაოდენობით აქვთ.

„კომუნისტის“ რეიდი

★

სასადილოს მენიუში უმთავრესად შეაქვთ მაღალფასიანი კერძები, ისიც ერთფეროვანი, უგემური. მაგალითად, შემოწმების დღეს, 24 დეკემბერს, ხარჩო ღირდა 2 მან. და 45 კაპ., ხოლო სალიანკა — 2 მან. და 90 კაპ., კატლეტი — 2 მან. და 75 კაპ. ამასთან მზარეულ გ. რეზვიაკოვას დამზადებულ თითო ულუფა კატლეტს უგარნიროდ წონაში საშუალოდ აკლდა 11 გრამი.

ერთფეროვანი და უგემური კერძების დამზადება იმითაც არის გამოწვეული, რომ უფროს მზარეულად მუშაობს გადმოუცდელი და დაბალკვალიფიციური მზარეული.

შემოწმების დღეს სამზარეულო და ბუფეტი სრულ ანტისანიტარიულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სამზარეულოს იატაკი დანაგვიანებული იყო. მასში თაღლია ქვაბებით იდგა საჭმელისა და პროდუქტების 3-4 დღის ნარჩენები.

დაუშვებელ ანტისანიტარიულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ბუფეტიც (მებუფეტე ი. მუკოსიანი); 13 დეკემბერს მიღებული 8 კილოგრამი შავი პური მთლიანად დაობებული იყო და ბუფეტში ინახებოდა. ბუფეტის დახლის ზედა თაროზე ეყარა პაპიროსის ნამწვავები, ფერფლი, მანდარინის კანისა და ქაღალდის ნაგლეჯები. იქვე თეფშზე იდო ობმოკიდებული და გაფუჭებული შოკოლადი. ბუფეტში მთელ რიგ პროდუქტებზე არ იყო ფასის მაჩვენებელი. მაგალითად, 150 ცალი 75 კაპიკად ღირებული ფუნთუშიდან 110 ცალი ისე გაიყიდა, რომ მებუფეტემ ფასის მაჩვენებლის გამოკვრა „ვერ მოასწრო“.

სამაცივრო დანადგარი აქ უკვე ათი დღეა არ მუშაობს და მასში მოთავსებული კარაქი ობმოკიდებული იყო. აღსანიშნავია, რომ საცალო ვაჭრობისა და საჯკვების ქსელში სამაცივრო დანადგარისა და მოწყობილობის რემონტი, რომელსაც თბილისის სარემონტო-სამონტაჟო კომბინატის „საქვაჭრმონტაჟის“ (დირექტორი ზ. თინიკაშვილი) ბათუმის სახელოსნო აწარმოებს, ჩაშლილია. მაგრამ ეს არ აწუხებს აღნიშნული სახელოსნოს ხელმძღვანელს ნ. ველიკის და მის მექანიკოსებს, რომლებიც უფრო მეტად კერძო პრაქტიკას ეწევიან და ხშირად სამუშაო საათებში ღვინოს სვამენ.

უნდა ითქვას, რომ სტუდენტთა კვებისა და საერთოდ კულტურულ-საყოფაცხოვრებო [illegible] ტუტის დირექცია, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებიც იშვიათად დადიან სტუდენტთა სასადილოში და საერთო საცხოვრებელთან არსებულ ბუფეტში.

სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი მოუშზადებელი შეხვედა ზამთარს. ოთახები არ თბება, რის გამო მეცადინეობა თითქმის შეუძლებელია. არ აქვთ წითელი კუთხე. ხშირად სიბნელეა, თუმცა მალე საზამთრო სესიები დაიწყება. ეს მდგომარეობა არ აღელვებთ არც ინსტიტუტის ხელმძღვანელებს და არც კომკავშირის აპარის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მუშაკებს.

როგორც ინსტიტუტის, ისე ბათუმის სასადილოთა ტრესტის ხელმძღვანელები ნაკლებად ზრუნავენ ვაჭრობის მოწინავე პროგრესული მეთოდების დანერგვისათვის. მიუხედავად არაერთგზის მითითებისა, დღემდე არ არის მოგვარებული სტუდენტთა და მოსწავლეთა შორის სადილის ქვითრებისა და აბონემენტების წინასწარი გაყიდვა. არ წარმოებს შესვენების საათებში სასწავლო კორპუსებში ცხელი ღვეზელის, კატლეტის, ბეტერბროდის და საუზმის სხვა კერძების დატარებითი ვაჭრობა.

სტუდენტთა სასადილოსა და ბუფეტის მუშაობისადმი შეუწყნარებელ უყურადღებობას იჩენს ინსტიტუტის ექიმი ე. კაკაბაძე, რომელიც ფაქტიურად არ ამოწმებს სასადილოსა და ბუფეტის სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს.

აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტის სასადილოსთან და საერთო საცხოვრებელთან არსებული ბუფეტის ცუდი მუშაობა მხილებული იყო გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ გასული წლის 15 ნოემბერს. ამასთან აღნიშნული წერილის საფუძველზე აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტრომ 18 ნოემბერს სპეციალური ბრძანება გასცა, მაგრამ ამას ირავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

დროა წესრიგი დამყარდეს სტუდენტთა და მოსწავლეთა კვების საქმეში.

რეიდის მონაწილენი:

ი. ცერცვაძე,
ვაჭრობის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი აჭარის ასს რესპუბლიკაში,

ე. ლომაძე,
აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს ინსპექტორი,

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მუდამ წინ, უკეთესისაკენ...

ხეხილის ბაღებში ტრაქტორის გუგუნი ისმოდა.

მანქანის საჭესთან ნაცნობ სახეს მოვკარით თვალი.

— ფირუზ მაყაშვილი! — წამოიძახა ფოტორეპორტიორმა.

მაყაშვილმაც გვიცნო.

ტირიფონის ველზე ალოობისას გვინახავს იგი. კომბაინით მოსავალს იღებდა. მაშინ ფოტორეპორტიორმა კომბაინის სამართავ ბაქანზე გადაუღო მაყაშვილს სურათი, ახლა კი ტრაქტორის საჭესთან უხდებოდა სურათის გადაღება.

— ტრაქტორისტიც ყოფილხარ, ფირუზ? — გამოველაპარაკეთ მას.

მაყაშვილს გაეღიმა. ბაღის ბოლოში მცველს გასძახა.

— ჰეი, სამსონ! მოდი, მუშაობა გაგრძელ.

ფირუზი ტრაქტორიდან ჩამოხტა. მოვიდა ჩვენთან და თავის წარსულზე ზოგი რამ გვიამბო.

...1942 წელი. საბჭოთა არმია მეფდრად ებრძოდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს. ახალსოფლის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ბევრი მექანიზატორი ფრონტზე იმობდა. მაშინ ფირუზი თექვსმეტი წლის ბიჭი იყო. იგი ტრაქტორისტთა მოსამზადებელ კურსებზე გაგზავნეს.

ეს კურსები ფირუზმა წარმატებით დამთავრა. პირველ ხანებში ტრაქტორზე მუშაობა უჭირდა, მანქანის უწესივრობისას დეფექტის გამოსწორება უძნელდებოდა. მაგრამ არჩეული პროფესიის სიყვარულმა და დაკვირვებამ შეაძლებინა ღრმად დაუფლებოდა ტრაქტორის ყოველ წვრილმანს, სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენების საქმეს.

ახლა მაყაშვილი ტრაქტორის დოსტაქარია. საკმარისია ყური დაუგდოს ძრავის ხმაურს, რომ უმალვე მიხვდეს მის მტკივნეულ ადგილს. ამ დღესაც ასე იყო! კიდევ რამდენიმე კვალს გავლება იყო საჭირო და ხვნა მთავრდებოდა, რომ ტრაქტორის ძრავამ უთანაბროდ იწყო მუშაობა. ეს როდი გამორჩა გამოცდილ ტრაქტორისტს.

მიზეზი სარქველების არაწესიერი მუშაობა უნდა იყოს, — თქვა მან და ყუთიდან საჭირო იარაღი ამოიღო.

ფირუზმა ძრავის სარქველს სახურავი ახადა: დიაგნოზი სწორი გამოდგა. მესამე დგუშში შემწოვი სარქველის სარეგულაციო ჭანჭიკი მომვებულიყო.

რამდენიმე წუთში ყველაფერი რიგზე იყო.

ფირუზ მაყაშვილი მოწინავე კომბაინერიც არის. მას ზოგი რამ ახალი აქვს შეტანილი კომბაინ „სტალინეც-6“-ის მუშაობაში.

კომბაინერს დღეში საათნახევარი-ორი საათი მაინც ეკარგება მანქანის დაზეთვაზე.

— ხომ არ შეიძლება მოეწყოს დაზეთვის რაიმე სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ჯაჭვებისა და ვარსკვლავა კბილანების დაზეთვას კომბაინის გაუჩერებლად, მუშაობის პროცესში? — ამ საკითხით დაინტერესდა მაყაშვილი, სამუშაოდან შინ დაბრუნებული ამაზე ბევრს ფიქრობდა, ანგარიშობდა, ხაზავდა...

„საიდუმლოება“ მიგნებულია! ნეტავ გენახათ, როგორ უხაროდა ნოვატორს ამ საკითხის გადაწყვეტა.

როგორია პრაქტიკულად კომბაინის დაზეთვის „მაყაშვილის სისტემა“?

„სტალინეც-6“ მარკის კომბაინზე დგას ოცდახუთ-ოცდაათკილოგრამიანი ზეთის ავზი, რომლიდანაც გამოყვანილია ორმხრივ განშტოებული მილი. თვითეული ეს მილი უერთდება კომბაინის სალეწის კედლებზე დამაგრებულ მაგისტრალურ მილებს. ამ მილების შესაფერ ადგილებზე დაყენებულია პატარა ონკანები თითბრის წვრილი მილებით, რომლებიც მიყვანილია დაზეთვის ადგილებამდე. დაზეთვის სისტემიდან გამოდენილი სითხით იზეთება ჯაჭვები და ვარსკვლავა კბილანები კომბაინის მუშაობის პროცესში. დაზეთვის რეგულაცია ონკანებით ხდება. მთავარი ონკანები დაყენებულია ავზზე.

ფირუზ მაყაშვილს სასახელო შრომითი მაჩვენებლები აქვს მოპოვებული. გასულ წელს მან თვითმავალი კომბაინით გორის რაიონის სოფელ ნადარბაზევის კოლმეურნეობაში ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 12 ცენტნერის ნაცვლად 15 ცენტნერი მარცვალი გალეწა და გეგმის გადამტებით 92,5 ჰექტარზე აიღო მოსავალი.

ფირუზთან შემცვლელ ტრაქტორისტად მუშაობს მისი უმცროსი ძმა სამსონი. ძმებმა „დტ-54“ მარკის ტრაქტორით 1.527 ჰექტარი მოხნეს (რბილ ხვნაზე გადაყვანით) ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.102 ჰექტარისა. ამასთან დაზოგეს 2.667 კილოგრამი საწვავი, ტრაქტორის ტექნიკურ მოვლაზე გააკეთეს 636 მანეთის ეკონომია.

თელაველ მექანიზატორთა მოწოდების პასუხად ძმებმა მაყაშვილებმა ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

ბედნიერად ცხოვრობს ფირუზ მაყაშვილი გორის რაიონის სოფელ სვენეთში. მან შრომითი დანაზოგით ქვიტკირის მშვენიერი სახლი აიშენა. შეიძინა ავტომანქანა „პობედა“, რომელსაც თვითონ მართავს. ხშირად, საღამოობით ფირუზი ცოლშვილით ესტუმრება ხოლმე ქალაქ გორს, ნახულობს კინოსურათებს, თეატრის ახალ დადგმებს.

ამ დღეებში გამოქვეყნებულმა ისტორიული ნაშიშვილობის დოკუმენტებმა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საუბილეო სესიის მიმართვამ საბჭოთა ხალხებისადმი, კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირების დეკლარაციამ და მშვიდობის მანიფესტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის გადაწყვეტილებებმა, — დიდად აღაფრთოვანა მექანიზატორი მაყაშვილი. საბჭოთა კავშირის წარმატებები, რომლებიც მოპოვებულია ორმოცი წლის მანძილზე, და დემოკრატიული ქვეყნების მიღწევები კანონიერი სიამაყის გრძნობებს იწვევს მასში.

ნოვატორ მექანიზატორ ფირუზ მაყაშვილს ერთი მიზანი ამოქმედებს:

— დღევანდელზე უკეთესი უნდა იყოს ხვალინდელი შრომა და ბარაქა, ხვალინდელზე უკეთესი — ზეგინდელი და ასე მუდამ წინ, უკეთესისაკენ...

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

თბილისის საქალაქო მეურნეობის მჯკივნეული საკითხები

უმაგალითო ტემპით იზრდება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი. მას ყოველდღიურად ემატება ახალი ნაგებობანი, საცხოვრებელი სახლები, განათლება და მოასფალტებული ქუჩები, კეთილმოწყობილი პარკები და მოედნები, ფართოვდება ქალაქის საკომუნიკაციო საზღვრები. მატულობს მოსახლეობა.

ასეთი შეუჩერებელი ზრდა და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომ განვითარებას მოითხოვს.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა და რაისაბჭოების აღმასკომებმა სწორედ ამ მიმართულებით წარმართეს მუშაობა, რის შედეგადაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

მაგრამ მიღწევებთან ერთად თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაობას ნაკლოვანებებიც ახასიათებს.

აღსანიშნავია, რომ თბილისის მოსახლეობის ზრდას და ქალაქის საზღვრების გაფართოებას საგრძნობლად ჩამორჩა კომუნალური მეურნეობის განვითარება. ზოგიერთ რაიონულ საბჭოს აღმასკომში გამეფებულია გულგრილობა და უპასუხისმგებლობა — მათი საქმიანობა უმეტესად მიმდინარე და შემთხვევითი საკითხების განხილვით ამოიწურება. გარკვეული სისტემის საფუძველზე რეალური გეგმის შემუშავება და განხორციელება კი მეორე პლანზეა დაყენებული. თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების საქმიანობაში პრაქტიკული ხელმძღვანელობის საკითხი მკვიდრ ნაადგზე არ დგას. ბევრი ფაქტი მოწმობს, რომ მათი მუშაობა ზოგჯერ ფორმალურ, ზერელე ხასიათს ატარებს.

სპეციალისტების გაანგარიშებით, ქალაქში მიწოდებული წყალი მთლიანად უნდა აკმაყოფილებდეს მოსახლეობის მოთხოვნილებას, მაგრამ ფაქტები სხვას მეტყველებენ — მოსახლეობა წყლის ნაკლებობას განიცდის, მეტადრე ზაფხულის პერიოდში. ამასთან ქალაქის მთელ რიგ უბნებში წყლის მიწოდება ლიმიტირებულია.

ჯერ კიდევ 1956 წლის გაზაფხულზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეისწავლა თბილისის წყალსადენის მეურნეობის საკითხი. გამოირკვა, რომ საცხოვრებელ სახლებში წყალსადენის გაყვანილობა უვარგისია, არამატურა გამოსაცვლელია, ბევრი სასმელი წყალი უმიზნოდ იღვრება.

ამ მტკივნეული საკითხის მოსაგვარებლად თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც სახლმმართველობებს დაავალა წყალსადენის შიგაგაყვანილობის წესრიგში მოყვანა, ამასთანავე დაამტკიცა წყლის საფასური და მისი ხარჯვის ნორმები.

გავიდა წელწადნახევარი. საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება დავიწყებას მიეცა, საცხოვრებელ სახლებში წყალსადენის სამუშაოები არ შესრულებულა. არც ქალაქის წყალსადენის სამმართველოს უფიქრია, როგორ შეწყვეტოს მაგისტრალურ მილსადენებსა და წყალსაზომებში წყლის ქონვა.

იმის გამო, რომ რაიონული საბჭოების აღმასკომები კონტროლს არ უწევენ სახლმმართველობათა საქმიანობას, ეჭვდებით სახელმწიფო კანონმდებლობას უხეში დარღვევის ფაქტებს. მაგალითად, ნორმით ერთ სულზე თვეში დაწესებულია წყლის საფასური ერთი-ორი მანეთის ოდენობით, ფაქტიურად კი ბევრგან მობინადრენი გაცილებით მეტს იხდიან.

ნაცვლად იმისა, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა შეამოწმოს გადაწყვეტილების შესრულება და უზრუნველყოს, რომ შესაბამისმა ორგანოებმა დროულად განახორციელონ დავალებანი, გასული წლის ოქტომბერში საქალაქო საბჭოში მიიღეს ახალი ანალოგიური გადაწყვეტილება, რომლის განხორციელებას ალბათ იგივე ბედი ეწევა.

თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მოვალეობაა ხელმძღვანელობდეს და ასრულებდეს ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებს. ეს სამუშაოები ქალაქის ზოგიერთ უბანში დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ამავე დროს ქალაქის განაპირა (და განა მარტო განაპირა!) ქუჩები მოუწყობელი და მეთვალყურეობას მოკლებული. გულშემატკივარი კი არა ჩანს.

ქალაქის კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკების მოუქნელი მუშაობის შედეგად კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის გახკუთვნილი სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი ზოგჯერ არადანიშნულებისამებრ იხარჯება.

მართლაც და რა გადაუდებელ საქიროებას წარმოადგენდა თბილისის კომუნარების ბაღის გაპრიალებული გრანიტის ქვით შემოღობვა. ეს ხომ არქიტექტურულ სამუშაოებში ზედმეტობის დაშვებას წარმოადგენს! განა ამ სამუშაოების შესრულება სხვა სახის საშენი მასალით წარმატებით არ შეიძლებოდა?

დიდ და ჰასუხსაგებ საქმეს წარმოადგენს საცხოვრებელი ფონდის ნორმალური ექსპლოატაცია. მაკი კარგი მოვლა-პატრონობით შეიძლება გადავარჩინოთ შენობები მწყობრიდან ნაადრევ გამოსვლას.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს ჯეროვნად ვერ ხელმძღვანელობენ თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები.

ჯეროვან სიმაღლეზე არა დგას მოსახლეობისათვის კვების პროდუქტების მიწოდება. მაგალითად, თბილისში მოუგვარებელია პურის რეალიზაცია ხდება არსებული სტანდარტის დარღვევით. ხშირად მოუზელავ პურს აცხობენ და გზავნიან წერტებში. მოუგვარებელია ქართული პურის როგორც ცხობა, ისე რეალიზაცია.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნორმალური მუშაობა, რაც საქალაქო საბჭოს აღმასკომის უშუალო მოვალეობას წარმოადგენს, დარღვეულია. გეგმიურად არ ხორციელდება ქალაქის ახალი სამარშრუტო ხაზების გამონახვა და მოძრავი პარკის ზრდა. ამ საქმეში ახალი რაციონალური ღონისძიებების გაუტარებლობა იწვევს ტრანსპორტის მუშაობის გაუარესებას.

ქალაქის კომუნალური მეურნეობის საკითხების შესწავლასა და მოგვარებას დიდი დრო სჭირდება. მეურნეობის ამ დარგს იერიშობანა ზიანის მეტს არაფერს მოუტანს. მისი მოგვარება მხოლოდ თანმიმდევრული და მუყაითი შრომით უნდა ხდებოდეს. ამ მნიშვნელოვან საქმეში მასობრივად უნდა ჩაებას ქალაქის მოსახლეობა.

ინჟინერი ვ. გელაშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი.

მოსწავლეთა მეგობრობა

მტკიცე პიონერული მეგობრობა აკავშირებთ დნეპროპეტროვსკის ოლქის ქალაქ მარგანეცის მე-6 საშუალო სკოლის მოსწავლეებსა და ლანჩხუთის რაიონის სუფსის საშუალო სკოლის მოსწავლეებს.

1954 წელს ლანჩხუთის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგემ გ. ჩხაიძემ, რომელიც გაგრაში ისვენებდა, გაიცნო ქალაქ მარგანეცის სკოლის დირექტორი ვ. საენკო. როცა შინ დაბრუნდა, გ. ჩხაიძემ სუფსის სკოლის პიონერებს შესთავაზა მიეწერათ წერილი უკრაინელი ბავშვებისათვის. წინადადებას მხურვალედ გამოეხმაურნენ. მას შემდეგ მეგობრები ერთმანეთს უგზავნიან წერილებს სკოლაში სწავლის, მშობლიური მხარის შესახებ, უგზავნიან ერთმანეთს ჰერბარიუმებს, მცენარეთა თესლებს სკოლების საცდელი ნაკვეთებისათვის.

ახალი წლისათვის ქართველმა ბავშვებმა უკრაინელ მეგობრებს გაუგზავნეს ხმელი ხილისა და ციტრუსების ამანათი.

სურათზე: სუფსის საშუალო სასოფლო სკოლის პიონერთა რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ლალი თავართქილაძე წერილს წერს უკრაინელ მეგობრებს.

ფოტო ხ. ონანოვისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ოთარ ჩეჩელაშვილი,
საბჭოთა კავშირის გმირი.

თოლიკის ფრთიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა არმიის შექმნის მე-40 წლისთავისათვის

შემოდგომის თბილი, მზიანი დილაა. ცელქი ნიავი გველამუნება სახეზე. ჩვენ ხუთნი მოლზე ვართ წამოწოლილნი, დროდადრო ზანტად შევესიტყვებით ერთიმეორეს, თითქოს იმის ცდაში ვიყოთ, რომ არ დაირღვეს ეს უჩვეულო, ნანატრი მყუდროება.

— ახლა იქაც ასეთი ამინდი დგას, — ამოიოხრა ხმა ნოდარმა, რომელიც აქამდე ჩუმად იწვა გულაღმა და გამჭვირვალე ცის კაბადონისთვის გაეშტერებინა თვალი. — იქაც ასეთივე სიმყუდროვეა, მხოლოდ შორიდან, ვენახებიდან ყურძნის მკრეფავთა ჟრიამული ისმის. ორღობეებში ურმები მიჭრიალებენ, მარნებში ყურძენს წურავენ... ბიჭებო, ტკბილი თუ დაგილევიათ პირდაპირ საწნახლიდან... ზედ შემწვარი ახალი სიმინდი და ნედლი ნიგოზი... რას იტყვით, ჰა?

ნოდარ გიორგაძე ჩვენი თვითმფრინავის ტექნიკოსია, კარგი ვაჟკაცი, სანიმუშო ჯარისკაცი, მხოლოდ... ერთი სისუსტე სჭირს, ერთადერთი სისუსტე — როგორც კი შესვენების წუთები დაგვიდგება, ბიჭები ერთად შევიყრებით და გავაბოლებთ, აუცილებლად თავის სოფელზე უნდა ჩამოაგდოს სიტყვა. ახლაც ყველამ უთქმელად გავიგეთ, თუ რას ნიშნავდა მისი „იქაც ასეთი ამინდიაო“. ეს „იქ“ მისი სოფელია, მწვანე გორაკებში ჩამჯდარი იმერული სოფელი თავისი ბაღ-ვენახებით, მინდვრებით, ყანებით და მხიარული ხალხით. ნაკვერცხლებზე შემწვარი ახალი სიმინდის, მაჭრის გახსენება ბიჭებს აღიზიანებს.

— კარგი ახლა, გეყოფა, ნუ გადაგვაყოლებ... — აწყვეტინებს მსროლელი ნიკოლოზ ცირეკიძე. იგი როგორღაც სხვებზე მეტად გაღიზიანებულია. — შენ გირჩევნია ის გამოიცნო, დღეს საით მოგვიწევს გაფრენა?

ნიკოლოზი ნოდარზე ნაკლებად კარგი და საყვარელი ბიჭი როდია, მაგრამ ნაკლებ სენტიმენტალურია, თანაც ამ ამბებზე თავისი შეხედულება აქვს: რა საჭიროა წამდაუწუმ მშობლიური სოფლის თუ ქალაქის გახსენებაო, გვეტყვის ხოლმე, ტყუილად ნერვები უნდა აიშალო, ამით ვერც შინ დარჩენილ შენიანებს არგებ და ვეღარც საკუთარ თავს. აი, გადავრეკოთ ეს ურჯულკები, ერთი მივუნგრიოთ ის ბოროტების საბუდარი, მერე, გამარჯვებულნი რომ დავბრუნდებით, რაც გვინდა ვინატროთ და რამდენიც გვინდა ვოოცნებოთო.

ქვეცნობიერად ყველანი ვგრძნობთ, რომ ნიკო მართალია. ჩვენ ხუთივეს ომმა დაგვატოვებინა სახლ-კარი, შინაურები, სწავლა თუ მშვიდობიანი შრომა, აქ, ფრონტზე შეგვყარა, ბრძოლებში დაგვაძმობილა, გამოგვაწრთო, დაგვავაჟკაცა და აგვავსო ერთადერთი სურვილით — რაც შეიძლება მალე გავიმარჯვოთ საძულველ მტერზე. რომ გავიმარჯვებთ, ამაში ეჭვი არასოდეს არ შეგვპარვია, ახლა კი მით უმეტეს აღარავის შეეპარება — ახლა ხომ 1943 წელი იწურება. არნახული მასშტაბის ომის ორი წლის მანძილზე საბჭოთა მეომრებმა მოწინააღმდეგე ძალზე დავასუსტეთ, დარტყმა დარტყმაზე ვაგებეთ და დასავლეთიდან მოსულ ურდოებს დასავლეთისკენვე ვერეკებით. და აბა რა დროს გულის აჩუყება და მოგონებებში წასვლაა!

— ნიკო მართალს ამბობს. რას იტყვი, ნოდარ, საით მოგვიწევს გაფრენა? — ჩავურთე მეც სიტყვა.

ნოდარი ტკბილი მოგონებებიდან გამოერკვა, წამოჯდა, ფეხი მოირთხა, ერთხანს იფიქრა და ბოლოს წინასწარმეტყველის კილოთი გვითხრა:

— დღეს თქვენ გერმანელების ნავსადგურზე მიიტანთ იერიშს.

მას ჯერ სიტყვაც არ დაემთავრებინა, რომ ჩვენთან ჯარისკაცი მოიჭრა: სასწრაფოდ გვიბარებდა პოდპოლკოვნიკი სმირნოვი — ჩვენი მოიერიშე საავიაციო პოლკის მეთაური...

სმირნოვის ოთახიდან გამოსულს იმის დრო აღარა მქონდა, გაკვირვება გამომეთქვა — მართლა წინასწარმეტყველი ხომ არ იყო ნოდარ გიორგაძე, ასე ზუსტად რომ განსაზღვრა ჩვენი დღევანდელი დავალება: თვრამეტი თვითმფრინავისაგან შემდგარ სამ ესკადრილიას ევალებოდა იერიში მიეტანა გერმანელთა ხელში მყოფ სევასტოპოლის ნავსადგურზე.

შემოდგომის მყუდრო დილა, რომელმაც ნოდარს იმერული შემოდგომა მოაგონა, უეცრად სადღაც გაქრა: არემარე აზანზარდა და აგრიალდა, ირგვლივ ხალხი აფუსფუსდა. გასაფრენად გამზადებული მანქანები ძაგძაგებდნენ, ისმოდა პოდპოლკოვნიკ სმირნოვის მკვეთრი ბრძანება...

და აი, ჩვენ უკვე ჰაერში ვართ. ირგვლივ ლაჟვარდი კრიალებს, დაბლიდან კი რუხად შემოგვცქერის ყუბანის მიწა. ეს ნაფრონტალი ადგილებია, უკუქცეული მტრის დამსხვრეულ-დალეწილი ტექნიკითა და გერმანელ ბედუკუღმართ ჯარისკაცთა ძვლებით მოფენილი. ვინ იცის, რამდენი გერმანელის დედა ატირებულა და კვლავაც ატირდება, რამდენი შეიმოსება ძაძით. რას იზამ, ომი — ომია და დამრტყმელს სამმაგად უნდა დასცხო — ისე ჭკუას ვერ ისწავლის. რა ჩვენი ბრალია, რას მორბოდნენ აღმოსავლეთისაკენ, რას გვემართლებოდნენ. ახლა მოიმკონ, რაც დათესეს.

ფიქრებს მაწყვეტინებს ცირეკიძის ხმა, ყურებზე დამაგრებული მცირე რადიოდან რომ მოდის:

— კაცმა რომ თქვას, ნოდარს რთველი ტყუილად როდი მოჰგონებია: რაღაც ისეთ გუნებაზე ვარ, დიდი მოსავალი უნდა მივიღოთ დღეს...

ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რა „მოსავალზე“ ლაპარაკობს ნიკო, მაგრამ ახლა ხუმრობის გუნებაზე აღარა ვარ: ფრონტის ხაზი ახლოვდება და საჭიროა სიფხიზლე — მტრის საზენიტო არტილერიას, რა თქმა უნდა, არ სძინავს...

საოცარი ამბავია: როგორ მოულოდნელად წამოიჭრება ხოლმე ხსოვნაში დიდი ხნის წინანდელი ასოციაციები. ბავშვობაში თავდავიწყებული ფეხბურთელი გახლდით, ჩვენი ქუჩის გუნდში კარგი თავდამსხმელის სახელი მქონდა. ტექნიკისა რა მოგახსენოთ, რა საფეხბურთო ტექნიკა უნდა მქონოდა თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭს, მაგრამ სისწრაფით და აზარტით კი მგონი ბევრს ვჩაგრავდი. და აი, თვალწინ დამიდგა სურათი: ბურთი გავიტაცე და მივქრივარ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნისაკენ. ჩემს დასახვედრად რამდენიმე მცველი გამოქანდა. მე მეუფლება რაღაც უცნაური გრძნობა: ჯერ — ერთი, მწვავე სპორტული ენინი, სურვილი იმისა, რომ მოწინააღმდეგეს აჯობო ორთაბრძოლაში, დაჩაგრო, დაჯაბნო, უკან მოიტოვო და გამარჯვებული წინ გაიქრა; ამას ზედ ერთვის ინტერესი, რომელიც მოწინააღმდეგის მიმართ აღიძვრის — რას წარმოადგენს იგი, რისი უნარი აქვს, რით დაგიპირისპირდება? და არის კიდევ ერთი გრძნობა, გულს რომ გითრთოლებს, უურადღებას გიმახვილებს. ამას იქნებ მომავალი ბრძოლის, მოსახდენი ამბის წინასწარი მოლოდინის გრძნობა დავარქვათ... მაგონდება ეს ყოველივე და უეცრად ჩემთვის ნათელი ხდება, რომ მტრის პოზიციებთან მიახლოებისას მუდამ იმ ბიჭუნასთვის — ქუჩის ნორჩი ფეხბურთელისთვის ნაცნობი გრძნობა მეუფლება ხოლმე. აქაც იგივე საბრძოლო ენინი, თავისებური ინტერესი მოწინააღმდეგის მიმართ და განცდა მოსალოდნელი ამბებისა. განსხვავება მხოლოდ ერთია: ყოველივე ამას აქ ზედ ერთვის და ყოველივეზე ბატონობს უმძაფრესი გრძნობა: ეს არის მოწინააღმდეგის სიძულვილი, გააფთრება, წყურვილი შურისძიებისა, „სისხლი სისხლისა წილ“... და ვაი მას, ვაი ჩვენს მოწინააღმდეგეს! ქუთაისელ ნორჩ ფეხბურთელებსავით როდი გადავკოცნით ბრძოლის დამთავრების შემდეგ მე და ჩემი მეგობრები, წინ მიმავალი ესკადრილიის მეთაური მაიორი კორნეი ეფრემოვი და მომდევნო ექვსეულის თავში მდგომი ბორის ზოლოტუხინი.

საბჭოთა არმიის შექმნის მე-40 წლისთავისათვის

ვიცნობ, რა ბიჭებიც არიან, არაერთ ბრძოლაში გვიჭამია ფიცვერცხლი, მათს ლექსიკონში არსად წერია „შემეშინდა“ ან „მტერს ზურგი ვუჩვენე“...

ფრონტის ხაზი. ჩვენთვის მისი გადალახვა უკვე გადაქცეულია ჩვეულ და იოლ საქმედ, უბრალო წინაღობის თავზე გადავლებად, აი ისეთი წინაღობისა, სპრინტერები რომ გადაევლებიან ხოლმე მოკლე დისტანციაზე ასპარეზობის დროს. მაგრამ სამივე ჩვენგანის ესკადრილიებში საკმაოდ მოიძებნებიან შედარების გამოუცდელი, ახალბედა მფრინავები თუ მსროლელები. ფრონტული გარემო მათ ჯერ ძვალ-რბილში არ გასჯდომიათ, ამიტომ იქნებ ცოტათი აღელდნენ კიდეც, ცოტა ინერვიულონ, იჩქარონ საზენიტო ქვემეხების აგრიალებისას. არა უშავს, მთავარი ის არის, რომ დარწმუნებული ვარ — არც ერთი მათგანი ლაჩრად არ გადაიქცევა, არ უღალატებს თავის წმიდათაწმიდა საქმეს.

ქვემოდან მძაფრი ცეცხლი გაჩაღეს. მე მიხდება მკვეთრი მანევრირება, რათა რომელიმე დამთხვეულმა გერმანელმა არტილერისტმა მიზანში არ ამომიღოს და, როგორც ხუმრობით იტყვის ხოლმე ნოდარ გიორგაძე, „ქვახივით არ გამხეთქოს.“ ამასობაში ჩვენი ახალბედების მოძრაობასაც თვალს ვადევნებ, და აღტაცებული ვრჩები; სად მოასწრეს ამოდენა გამოცდილების შეძენა, როგორ ახერხებენ ასე მარჯვედ გაერიდონ ხოლმე მტრის ჭურვებს, ცალით რომ ამოიკრებიან სივრცეში და ჩვენს ირგვლივ გრიალით სკდებიან? ჰა, რამ შეგაფიქრიანა, ამხანაგო გვარდიის უფროსო ლეიტენანტო ოთარ ჩეჩელაშვილო? იქნებ გეგონა — ჭეშმარიტი სამხედრო ხელოვნების დაუფლება მხოლოდ რჩეულთა ხვედრიაო? ან იქნებ სინდისის ქენჯნას გრძნობ იმის გამო, რომ ამ ცოტა ხნის წინათ, როდესაც აგერ, იმ პირტიტველა სმოლენსკელ ევგენი ევსეევიჩოს გიგზავნიდნენ, რომელიც ახლა მართლაც კარგი შავარდენივით დანავარდობს ჰაერში, ან იმ ურალელ იგორ კოქევნიკოვს, რომელიც ევსეევიჩოს არაფრით ჩამოუვარდება, ან კიდევ ბაქოელ ხალილ ჯავადლის, მაშინ შენ და ზოლოტუხინმა ქვა ააგდეთ და თავი შეუშვირეთ: რაო, რას ბრძანებთ? ამ გახურებული შეტევის დღეებში ეგ პირზე რძეშეუშმრალნი აკვნით ვატაროთ თუ სავარჯიშო თვითმფრინავებზე მოყვარულებად დავსხათ? ახლა რაღას ეტყვი პოდპოლკოვნიკ სმირნოვს, ჰა?

— გენაცვალეტ, ბიჩებო! — ეს ბორის ზოლოტუხინის ხმა ისმის რადიოში. მეცინება. როდესაც ბორისს სურს თავისი განსაკუთრებული აღტაცება გამიზიაროს, აუცილებლად ჩემგან ნასწავლ რამდენიმე ქართულ სიტყვას ჩაუჩიქორთულებს. მიგიხვდი, ბორის, გულისნადებს: ეს ორი სიტყვა შენ ჩემს გასაგონად წარმოთქვი. შენც ჩემთან ერთად გქეჯნის ახლა სინდისი ამ ქორშავარდნების „ლაწირაკებად“ და „ცხვირმოუხოცლებლად“ მონათვლისათვის. მაგრამ რა დროს სინდისის ქენჯნაა! ორივე ჩვენგანის გული დიდი სიხარულისა და სიამაყის გრძნობამ აავსო: რისა უნდა ეშინოდეს ქვეყანას, რომელსაც ასეთი ვაჟკაცები მილიონობით ეზრდებიან, და თუ ერთი დაეცა ბრძოლაში, მის ადგილს უმალვე მეორე თავდადებული მამულიშვილი იჭერს!..

მაინც ჩვენს სიხარულს ღრუბელი გადაეფარა. ამას ხატოვან სიტყვად როდი ვამბობ: ჩვენი აეროდრომის თავზე ნაგვიანევი მზე რომ აცხუნებდა, დასავლეთი თურმე მძიმე საშემოდგომო ღრუბლით ყოფილა დაბურული. რუხი, ტყვიისფერი, თითქმის მიწას გართხმული ღრუბლები ჯერ მძიმედ მოიზლაზნებოდნენ ჩვენკენ, შემდეგ აჩქარდნენ, გამოქანდნენ, ალყა შემოგვარტყეს და მიდამო ჩამოაბნელეს.

— მოდი ახლა და ეძებე ნავსადგური ამ ჩამოკუპრულში. თუ აიმაღლაურე, ქვევით ვეღარაფერს დაინახავ და ალალბედზე უნდა აყარო ზღვას და მიწყიერს ტყვია, თუ ღრუბლებზე დაბლა დაეშვი — წყალში მოგიხდება ჩაყვინთვა. ფუჰ, თქვენი... ბუზნების შესრულებისა, შეუდრეკლობა, წარმოუდგენელი სიმამაცე, რაც ერწყმოდა სიმარჯვესა და საზრიანობას — მხოლოდ ასე შემიძლია დავახასიათო ყოველი ჩვენი მებრძოლის მოქმედება იმ დღის ბრძოლაში.



და შედეგმაც არ დააყოვნა. თითზე ჩამოსათვლელი წამები გავიდა მას შემდეგ, რაც მტერმა საზენიტო არტილერია აამოქმედა, რომ ჩვენ უკვე სამხედრო ხომალდებს თავს დავტრიალებდით, იერიში იერიშზე მიგვქონდა და ულმობლად ვმუსრავდით გერმანელთა საბრძოლო ტექნიკას. ზღვას თითქოს ვულკანური ლავა გადაეფრქვია — იქ ყველაფერი ადუღდა, აგრიალდა და ატორტმანდა...

როდესაც მოიერიშე მფრინავი მტერთან შესარკინებლად ემზადება, მან იცის, რომ შესაძლოა ეს მისი უკანასკნელი გაფრენა იყოს, რომ შესაძლოა ვერასოდეს ველარ დაბრუნდეს თავის აეროდრომზე, დაეცეს თავისი საბრძოლო დავალების შესრულებისას, როგორც ოფიციალურად ითქმის ხოლმე. მან იცის, რომ შესაძლოა ასეთი რამ მის რომელსამე თანამებრძოლსაც შეემთხვეს, შესაძლოა მრავალ ჯოჯოხეთურ ბრძოლაში უნებლად გადარჩენილი მამაცი მეგობარი დაეღუპოს.

ეს ყოველმა ჩვენგანმა იცოდა იმ დაუვიწყარ დღესაც. მართალია, ამაზე არავინ ფიქრობდა, რადგან სიკვდილზე ფიქრი ლაჩართა წესიაო — ასე გვწამდა ჩვენ. არავინ ფიქრობდა-მეთქი, მაგრამ შინაგანად ყველანი შეგუებულნი ვიყავით იმ აზრს, რომ იქნებ სწორედ იმ ბრძოლაში გამხდარიყო საჭირო სამშობლოსათვის მსხვერპლად შეგვეწირა ჩვენი სიცოცხლე...

და მაინც არავინ მოელოდა იმ ამბავს, რაც მოხდა.

„უშიშარი, ვითარცა უხორცო“, თურმე ასე იცნობდნენ თანამედროვენი სახელოვან გიორგი პირველს, მოგვითხრობს მწერალი კონსტანტინე გამსახურდია. თუ შეიძლება ამ ძველისძველი თქმის ვინმეს შესახებ გამეორება, ერთი-ერთი პირველი მათ შორის კორნეი ეფრემოვი იქნებოდა. „მამაცთა ესკადრილია“ — ასე უწოდებდნენ ფრონტელები თვითმფრინავთა იმ ექვსეულს, რომელსაც ამ სახელის მოპოვებაში დაუვიწყარი ამაგი დასდო მისმა მეთაურმა ეფრემოვმა. და უნდა გვახსოვდეს, რომ ფრონტზე „მამაცის“ სახელის მოხვეჭა იოლი საქმე როდია!.. მრავალ ბრძოლაში გამოიჩინა თავი გმირმა მფრინავმა, სამამულო ომის ორი ქარიშხლიანი წელი თავზე გადაივლო და, საოცარი ის იყო, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ გაკაწრულა. ამიტომ გვეგონა ყველას, რომ კორნეი ეფრემოვი ყოველი ბრძოლიდან უვნებელი გამოვიდოდა, მის სიცოცხლით სავსე, კუნთმაგარ სხეულს სიკვდილი ვერას დააკლებდა, გვეგონა, რომ...

მაგრამ მწარე, ძნელად გადასატანი გამოდგა სინამდვილე, ხოლო ჩემი ხსოვნიდან ვერ ამოვშალე და ალბათ ვერც ვერასოდეს ამოვშლი კორნეის გმირულად დაღუპვის სურათს.

როდესაც ყველანი სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლით ვიყავით გართულნი, მტრის ერთმა საზენიტო ქვემეხმა პირდაპირი დამიზნებით მოახვედრა ყუმბარა მაიორ ეფრემოვის თვითმფრინავს. მანქანა შეტორტმანდა, გადაიზნიქა და ცეცხლში გაეხვია. უკან დაბრუნებასა და ჩვენს აეროდრომამდე მიღწევაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. თუ კორნეის ცოცხლად დარჩენა ეწადა, ალმოდებული მანქანა ზღვაზე „მუცლით“ (თვითმფრინავის კორპუსით) უნდა დაეჯინა და მტერს ტყვედ ჩაჰბარებოდა. მაგრამ მაიორი იმათ რიცხვს არ ეკუთვნოდა, ვისაც შეუძლია ბრძოლაში დაღუპვას სამარცხვინო ტყვეობა არჩიოს...

და აი ჩვენ მოწმენი გავხდით დაუვიწყარი ამბისა.

კორნეიმ თვითმფრინავი მკვეთრად შემოაბრუნა, დაბლა გააქანა და გეზი იქითკენ ააღებინა, სადაც ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ გერმანელთა ხომალდები.

— მშვიდობით, ძმებო, სამშობლოსათვის, სტალინისათვის! — მოგვესმა რადიოში ჩვენი უძვირფასესი მეგობრის უკანასკნელი სიტყვები და თვითმფრინავი ტანკერში შეიჭრა. იგრგვინა გამაყრუებელმა აფეთქებამ.

მე მგონი, იმ საშინელ და დიად წამს არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენმა დაუძინებელმა მტრებმაც — ნავსადგურში მყოფმა ფაშისტებმა, ერთად გავიფიქრეთ: საბჭოთა ხალხს მხოლოდ ერთი გასტელო არა ჰყოლია, თუ საჭირო იქნება, ეს ხალხი ას და ათას გასტელოს წარმოშობს, ამიტომ დედამიწაზე არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს ამ ხალხის დამარცხება!

თუმცა ამ უკანასკნელ ამბავში, მე მგონი, გერმანელები იმ დროისათვის უკვე ისედაც დარწმუნებული იყვნენ...

...უკან დაბრუნებულებმა გზაში ახალი უსიამოვნო ამბავი შეიტყეთ: ბრძოლის დროს ყუმბარა ზოლოტუხინის თვითმფრინავსაც მოხვედროდა.

— ზეთის გამტარი დამიზიანეს, ოთარ, წნევა ნოლზე დავიდა, პროპელერი აღარ მუშაობს... იძულებითი დაშვება მომიხდება, — მომესმა მოულოდნელად ზოლოტუხინის ხმა რადიოში.

ცხადზე ცხადია: რაკი თვითმფრინავი ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ჩვენს აეროდრომამდე მიღწევაზე ან თუნდაც ფრონტის ხაზის გადაკვეთაზე ფიქრიც არ შეიძლება... ბორის ზოლოტუხინი და მისი მსროლელი პარაშუტითაც ვერ გადმოხტებიან — ძალიან დაბალ სიმაღლეზე მივფრინავთ. მაშ ბორისს მართლაც მეტი აღარაფერი დარჩენია, რომ შეეცადოს როგორმე „მუცლით“ დაჯინოს თვითმფრინავი მტრის ტერიტორიაზე. კარგი, ვთქვათ, მოახერხა უვნებლად დაშვება, მერე? სულ ერთია, გერმანელები უმალვე მიაგნებენ, ალყას შემოარტყამენ და... ბორისის ხასიათი რომ ვიცი, ცოცხალი არ დანებდება მტერს...

ესე იგი...

— დაიღუპა კაცი, ოთარ!.. — მიდასტურებს ჩემს გამოუთქმელ აზრს ცირეკიძე.

როგორ თუ დაიღუპა? როგორ გაბედა ნიკომ ასეთი რამის თქმა? არა, არ შეიძლება, წარმოუდგენელია, ახლავე რაღაც უნდა მოვიმოქმედო... მაგრამ რა, რა შეიძლება გავაკეთო?.. ამასობაში ვხედავ, რომ ბორისის თვითმფრინავმა ორიოდე წრე გააკეთა და უვნებლად დაეშვა მიწაზე... საჭიროა სწრაფად რაიმეს გადაწყვეტა.

და უეცრად გამიელვა ერთმა გადაწყვეტილებამ.

— შებრუნდით მარცხნივ! ყველანი ჩემს თვითმფრინავს გამოჰყევით! — ვიძლევი საერთო ბრძანებას, რადგან სამივე ესკადრილიის მეთაურობა ახლა მე მეკისრება.

თვითმფრინავებმა წრე შეჰკრეს და ჩემს უკან დამწკრივდნენ.

— რას აპირებ, ოთარ? — მეკითხება გაოცებული ცირეკიძე. მან ჯერ არაფერი იცის ჩემს გადაწყვეტილებაზე.

— მშვიდობით, ძმებო, ცოცხალი არავის დავნებდები!.. მოგვწვდა დაბლიდან ბორისის ხმაც.

სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ზოლოტუხინის თვითმფრინავს გერმანელებით სავსე ორი ჯავშნიანი მანქანა უახლოვდება. უკან ამ მანქანებს კიდევ მოსდევენ ჯარისკაცები.

— დაეშვით სამხრეთ-დასავლეთით, ჯავშნიან მანქანებსა და ჯარისკაცებს სროლა აუტეხეთ... ფხიზლად იყავით, ზოლოტუხინის მანქანამდე ვერც ერთმა სულიერმა ვერ უნდა მიაღწიოს, — გავეცი ბრძანება.

წუთის შემდეგ ჩვენები უკვე მტრის ნაწილებზე ახდენენ პირქარებას, მე კი ზოლოტუხინის მანქანის ირგვლივ ოროს ვაკეთებ, დასაჯდომ ადგილს ვეძებ თვალით.

ცირეკიძე მომიხვდა ჩანაფიქრს და აღტაცებული რაღაცას ჩამძახის, მაგრამ მე მისი სიტყვები აღარ მესმის, მთელი ყურადღება მიწისკენ მაქვს მიქცეული. აი გადავუფრინეთ თავზე ჩვენებს. ბორისი და მისი მსროლელი თვითმფრინავის ფრთაზე დგანან, მუზარადებს მიქნევენ და აღმოსავლეთისკენ მანიშნებენ — ვითომ „შინისკენ“ გაფრინდითო.

ცირეკიძეს ვუბრძანე რამდენიმე მწვანე რაკეტი გაესროლა, ხოლო თვითმფრინავი პიკირებით წავიყვანე. ამით დაბლა მყოფთ ვანიშნე — უნდა დავეშვა-მეთქი. წრე რომ მოვხაზე და კვლავ ჩამოვდებული თვითმფრინავისკენ გამოვბრუნდი, დავინახე: ზოლოტუხინი და მისი მსროლელი თავიანთი მანქანიდან ჩამომხტარიყვნენ და აღმოსავლეთისაკენ გარბოდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ისინი მიწაზე გაწვნენ ისე, რომ თავიანთი სხეულებით გამოსახეს ნიშანი „T“.

აჰა, ეს ხომ თვითმფრინავის მიწაზე დაშვების ადგილის ნიშანია.

დამშვიდებით კი ვმოქმედებ, დასაშვები ადგილიც შესაფერისად შერჩეულია, მაგრამ ეს „შესაფერისი“ ძალიან ცოტა რამეს ნიშნავს. თვითმფრინავის დასაჯდომად ნამდვილად შესაფერის ადგილს სად იპოვნი ამ გადათხრილ ტრამალზე?

აი ჩვენს ქვეშ უკვე სწრაფად გარბის მიწა, აი შევეხეთ კიდეც მას. მანქანა გარბის და საშინლად ინჯღრევა, აქეთ-იქით აწყდება — ნიადაგი ფხვიერი გამოდგა.

როგორც იქნა, მოხერხდა დამუხრუჭება. მანქანა შემოვაბრუნე, სამაგრი ღვედები ავიხსენი, ხუფი ავხადე. და წამოვდექი. ჩვენს თავზე ღრიალით მიმოქრიან ჩვენი თვითმფრინავები, წინ, მინდორზე კი ორი კაცი გამორბის საშინელი სისწრაფით. ჩვენ მაინც თავს ვერ ვიკავებთ და ვუყვირით:

— ჩქარა!.. ჩქარა!..

...დიდი გაჭირვებით მოვახერხე უსწორმასწორო, ფხვიერი, გაჯიუტებული მიწისათვის ამეგლიჯა ჩემი „საქართველო“ — ქართველ კოლმეურნეთა მიერ შეგროვებული თანხით ჩემთვის ნაყიდი საჩუქარი, იშვიათი გამძლეობის თვითმფრინავი. აი თავს გადავუფრინეთ გერმანელთა ცეცხლწაკიდებულ ჯავშნიან მანქანებს.

— ზალატუხინ, ზოლოტო, ზალატო, — ამტვრევს რუსულს ცირეკიძე. მის კაბინაში ალბათ სამივენი ერთმანეთს ეხვევიან, სიხარულს ვეღარ ფარავენ ბრძოლაში აუღელვებელი ვაჟკაცები.

„საქართველოს“ უკან გამწკრივდა სამი ესკადრილია. მე თვითმფრინავი შემოვაბრუნე და გეზი აღმოსავლეთისაკენ ავიღე.

ბორის ზოლოტუხინს თურმე მართლაც აღარ შეუძლია თავისი გრძნობების დაფარვა:

— ოტარ, მადლობტ, გენაცვალე!..

მუდამ განსაკუთრებულ სიამოვნებას მგვრიდა მის მიერ რუსული აქცენტით ნათქვამი „გენაცვალეს“ მოსმენა...

მით უმეტეს ახლა...

აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კონფერენციის გადაწყვეტილებანი

კაირო, 2 იანვარი. (საკუთარი). აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კაიროს კონფერენციის პლენარულ სხდომაზე, რომელიც 1 იანვარს გაიმართა, დელეგატებმა ერთსულოვნად მიიღეს კონფერენციის კომისიების მიერ შემუშავებული და წარდგენილი რეზოლუციები.

რეზოლუციაში იმპერიალიზმის შესახებ კონფერენციამ მტკიცედ დაგმო იმპერიალიზმი ყველა მისი ფორმითა და გამოვლინებით, უცხოეთის ხარეგა სხვა ქვეყნების საქმეებში, სამხედრო და პოლიტიკური პაქტები და კავშირები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მშვიდობას მთელ მსოფლიოში; შეთქმულებანი ეროვნულ მთავრობათა დამხობის მიზნით იმპერიალისტთა ინტერესებისათვის; დაბომბარება ისეთი პირობებით, რომლებიც ზიანს აყენებენ პატარა სახელმწიფოების ინტერესებს და ბღალავენ მათს სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას; უცხოეთის სამხედრო ბაზების შექმნა და სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე შეიარაღებული ძალების განლაგება. კონფერენცია აცხადებს, რომ იგი საფუძვლით უჭერს ხარის ხალხთა თავისუფლების, თვითგამორკვევის, სუვერენიტეტისა და სრული დამოუკიდებლობის უფლებებს, საკუთარი ძალებით საშინაო პრობლემების მოწესრიგებისა და თავიანთი სურვილის შესაბამისად საკუთარი ქვეყნის მართვა-გამგეობის ფორმების არჩევის უფლებას. რეზოლუციაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ კონფერენცია მოითხოვს ცნონ ყველა კოლონიისა და პროტექტორატის სრული დამოუკიდებლობის უფლება, აგრეთვე მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ბოლო მოუღოს მეურვეობის სისტემას და ცნოს იმ ქვეყნების დამოუკიდებლობა, რომლებიც იმ მეურვეობას განიცდიან.

რეზოლუცია განიარაღების საკითხზე და ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილების შესახებ შეიცავს მოთხოვნას დაუყოვნებლივ უშინაგნოდ აიკრძალოს ატომგადილა იარაღის გამოცდა და მოწოდებას საყოველთაო განიარაღებისათვის. რეზოლუციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ აზიისა და აფრიკის ხალხები ეწინააღმდეგებიან ატომგულისა და რაკეტული იარაღის განლაგებას, სამხედრო ბაზების, განსაკუთრებით ატომური სამხედრო ბაზების შექმნასა და გაფართოებას სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე.

რეზოლუციის დასასრულს ნათქვამია, რომ აზიისა და აფრიკის ხალხები მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ მათი ქვეყნები უნდა გახდნენ მშვიდობის ზონა, სადაც არ იქნება ატომგულისა და რაკეტული იარაღი. კონფერენცია მოუწოდებს მთელი მსოფლიოს ხალხებს გაერთიანდნენ ამ რეზოლუციისათვის მხარდასაჭერად, რადგან „ხალხთა ძლიერება სჯობობს ატომგულის ბომბების ძლიერებას და მას შეუძლია თავიდან აგვაცილოს ატომური ომის საფრთხე“.

რეზოლუციაში ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ აღნიშნულია, რომ ეკონომიური და სამრეწველო განვითარების და სრული ეკონომიური დამოუკიდებლობის მიღწევის მიზნით კონფერენცია ურჩევს აზიისა და აფრიკის ქვეყნებს განაგრძონ ბრძოლა კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის ყველა ფორმის წინააღმდეგ, განაზორციელონ უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ინდუსტრიალიზაციის გზით ეკონომიკის ვანვითარების მიზნით, განავითარონ ვაჭრობა ერთა შორის, მიუხედავად მათი სოციალური და ეკონომიური სისტემებისა.

რეზოლუციაში სოციალური განვითარების შესახებ ნათქვამია, რომ საჭიროა თანასწორი საარჩევნო უფლება მიენიჭოს ორივე სქესის პირებს, თანაბარი ხელფასი მივცეთ თანაბარი შრომისათვის, გაუმჯობესდეს ქალი-დედებისა და ბავშვების მდგომარეობა. რეზოლუცია მოითხოვს 1958 წელს ეგვიპტეში მოეწყოს აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალგაზრდობის კონფერენცია ამ ქვეყნებში ახალგაზრდობის საერთო მოთხოვნილებათა და კეთილდღეობისათვის ხელშეწყობის მეთოდების შესასწავლად, აგრეთვე რეგულარულად გაიმართოს აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალგაზრდობის ფესტივალები.

რეზოლუციაში კულტურული თანამშრომლობის შესახებ ნათქვამია, რომ საჭიროა შემდგომ განვითარდეს აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხთა კულტურა.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ. აღნიშნავს რა რასობრივი დისკრიმინაციის არსებულ პრაქტიკას მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, და განსაკუთრებით საბრივი აფრიკის კავშირში, რეზოლუცია მტკიცედ გმობს ყოველგვარი ფორმის რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკას და მოუწოდებს სამხრეთ აფრიკის კავშირსა და სხვა ქვეყნებს შეწყვეტონ ეს პოლიტიკა, აგრეთვე გაიუქმონ ყველა კანონი და წესი, რომლებიც რასობრივ დისკრიმინაციას აკანონებენ.

რეზოლუციაში ალჟირის საკითხზე კონფერენციამ დაგმო საფრანგეთის კოლონიური ომი, აგრეთვე ფრანგ იმპერიალისტთა მხეცობა ალჟირელი ხალხის წინააღმდეგ. რეზოლუცია მოუწოდებს დაუყოვნებლივ ცნონ ალჟირელი ხალხის დამოუკიდებლობა, აგრეთვე დაიწყოს მოლაპარაკება საფრანგეთის მთავრობასა და განთავისუფლების ეროვნულ ფრონტს შორის, რომელიც ალჟირელ ხალხს წარმოადგენს.

გარდა ამისა, კონფერენციაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ საჭიროა აღდგენილ იქნას ჩინეთის კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და მიღებულ იქნას მონღოლეთი ამ ორგანიზაციის წევრად.

რეზოლუციაში პალესტინის საკითხზე აზიისა და აფრიკის ხალხთა წარმოგზავნილები მტკიცედ გმობენ ისრაელის აგრესიულ პოლიტიკას და მოითხოვენ პალესტინელი არაბი ლტოლვილების დაბრუნებას სამშობლოში.

იმ მიზნით, რომ განხორციელდეს კონფერენციის რეზოლუციები და რეკომენდაციები და უზრუნველყოფილ იქნას მუდმივი კავშირი სხვადასხვა ქვეყანაში სოლიდარობის მოძრაობას შორის, კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება შეიქმნას აფრიკისა და აზიის ხალხთა სოლიდარობის საბჭო, რომელშიც შევა ორივე კონტინენტის ყოველი ქვეყნის თითო წარმომადგენელი, აგრეთვე შეიქმნას მუდმივი სამდივნო ადგილსამყოფელით კაიროში.

ამ რეზოლუციების გარდა, კონფერენციამ მიიღო მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებისადმი მოწოდებით აკრძალონ ატომგულის იარაღის გამოცდა. მიმართვაში ნათქვამია: „ჩვენ მოვითხოვთ ატომგულის გამოცდის დაუყოვნებლივ და უთუოდ აკრძალვას, როგორც პირველ ნაბიჯს მასობრივი მოსპობის ამ იარაღის წარმოების, დაგროვებისა და გამოყენების სრული აკრძალვის გზაზე და როგორც ნაბიჯს საყოველთაო განიარაღების გზაზე“. მიმართვაში გამოთქმულია იმედი, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები მიბაძავენ სსრ კავშირის მაგალითს და ვამოთქვამენ მზადყოფნას შეწყვიტონ ატომგულის იარაღის გამოცდა 1958 წლის იანვრიდან.

კონფერენციის მიმართვა მთელი მსოფლიოს მეცნიერებისადმი შეიცავს მოწოდებას მტკიცედ გაილაშქრონ ატომგულის იარაღის გამოყენების წინააღმდეგ და მიაღწიონ მისი მარაგის მოსპობას. „დაე მთელი მსოფლიოს მეცნიერები, — ნათქვამია მიმართვაში, — ერთმანეთს შეეჯიბრონ არა მასობრივი მოსპობის ახალი იარაღის გამოგონებაში, არამედ ბუნების საიდუმლოებათა აღმოჩენაში და ახალ გამოგონებებში, რომლებიც სამსახურს გაუწევენ ერებისა და ხალხების პროგრესის საქმეს“.

მ ე რ ი ნ ა კ ა შ ი ძ ე

ამ დღეებში ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა რესპუბლიკის სახალხო არტისტის მერი ნაკაშიძის შემოქმედებითი საღამო.

მერი ნაკაშიძეს ჯერ კიდევ თბილისის მეშვიდე შრომის სკოლაში სწავლისას აღმოაჩინდა ლამაზი ხმა. პირველ ხანებში იგი სკოლაში სიმღერის მასწავლებელ ბიძინა წულაძესთან მეცადინეობდა და მის გუნდში დამწყებ სოლისტად იყო. 1931 წელს კონსერვატორიაში ჩაირიცხა. მისი სწავლის საქმე იკისრა ცნობილმა მომღერალმა და პედაგოგმა, პროფესორ მ ა შულგინა-ბახუტაშვილმა. ამ გამოცდილი, ნიჭიერი პედაგოგის ხელში გაიშალა და გამდიდრდა მერი ნაკაშიძის ლამაზი, მთელ რეგისტრში ერთნაირი ტემბრით მბგერი ხმა, დაიხვეწა მისი ტექნიკური შესაძლებლობანი.

1936 წელს ახალგაზრდა მომღერალთა ერთი ჯგუფი კონსერვატორიიდან ოპერაში მიიწვიეს. მზადდებოდა ქართული მუსიკის დეკადა, რომელშიც აღნიშნულია, რომ საჭიროა აღდგენილ იქნას ჩინეთის კანონიერი ადგილი ეაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და მიღებულ იქნას მონღოლეთი ამ ორგანიზაციის წევრად.

რეზოლუციაში პალესტინის საკითხზე აზიისა და აფრიკის ხალხთა წარმოგზავნილები მტკიცედ გმობენ ისრაელის აგრესიულ პოლიტიკას და მოითხოვენ პალესტინელი არაბი ლტოლვილების დაბრუნებას სამშობლოში.

იმ მიზნით, რომ განხორციელდეს კონფერენციის რეზოლუციები და რეკომენდაციები და უზრუნველყოფილ იქნას მუდმივი კავშირი სხვადასხვა ქვეყანაში სოლიდარობის მოძრაობას შორის, კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება შეიქმნას აფრიკისა და აზიის ხალხთა სოლიდარობის საბჭო, რომელშიც შევა ორივე კონტინენტის ყოველი ქვეყნის თითო წარმომადგენელი, აგრეთვე შეიქმნას მუდმივი სამდივნო ადგილსამყოფელით კაიროში.

ამ რეზოლუციების გარდა, კონფერენციამ მიიღო მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებისადმი მოწოდებით აკრძალონ ატომგულის იარაღის გამოცდა. მიმართვაში ნათქვამია: „ჩვენ მოვითხოვთ ატომგულის გამოცდის დაუყოვნებლივ და უთუოდ აკრძალვას, როგორც პირველ ნაბიჯს მასობრივი მოსპობის ამ იარაღის წარმოების, დაგროვებისა და გამოყენების სრული აკრძალვის გზაზე და როგორც ნაბიჯს საყოველთაო განიარაღების გზაზე“. მიმართვაში გამოთქმულია იმედი, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები მიბაძავენ სსრ კავშირის მაგალითს და ვამოთქვამენ მზადყოფნას შეწყვიტონ ატომგულის იარაღის გამოცდა 1958 წლის იანვრიდან.

კონფერენციის მიმართვა მთელი მსოფლიოს მეცნიერებისადმი შეიცავს მოწოდებას მტკიცედ გაილაშქრონ ატომგულის იარაღის გამოყენების წინააღმდეგ და მიაღწიონ მისი მარაგის მოსპობას. „დაე მთელი მსოფლიოს მეცნიერები, — ნათქვამია მიმართვაში, — ერთმანეთს შეეჯიბრონ არა მასობრივი მოსპობის ახალი იარაღის გამოგონებაში, არამედ ბუნების საიდუმლოებათა აღმოჩენაში და ახალ გამოგონებებში, რომლებიც სამსახურს გაუწევენ ერებისა და ხალხების პროგრესის საქმეს“.

კ ო მ უ ნ ი კ ე

სსრ კავშირსა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის 1958 წელს კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის გეგმის შემუშავების საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის შერეული კომისიის მუშაობის შესახებ

1957 წლის 25 დეკემბრიდან 1958 წლის 2 იანვრამდე მოსკოვში მიმდინარეობდა მოლაპარაკება იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის გეგმის შედგენის შესახებ.

საბჭოთა დელეგაციას მეთაურობდა ამხ. გ. ა. ჟუკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხო ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

იუგოსლავიის დელეგაციას მეთაურობდა ამხ. ივო ფროლი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის კომისიის გენერალური მდივანი.

გასულ წელს კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის განხილვისას ორივე მხარე მივიდა ერთსულოვან აზრამდე, რომ თანამშრომლობა იყო ნაყოფიერი და ურთიერთ სასარგებლო და რომ კულტურის, მეცნიერებისა და სხვა დარგების მუშაკთა გაცვლა, აგრეთვე ცალკეულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის საქმიანი თანამშრომლობა სულ უფრო ფართო ხასიათს იღებს, რაც, უეჭველია, ხელს უწყობს უფრო სრულ ურთიერთ გაცნობასა და ურთიერთ გაგებას. „მაყოფილებით აღინიშნა, რომ თანამშრომლობა ვითარდებოდა კულტურული თანამშრომლობის შესახებ არსებული კონვენციის სულისკვეთებით, თანასწორუფლებიანობისა და იმ მეგობრობის პრინციპებზე, რომელიც ორივე ქვეყანას აკავშირებს.

ემყარებიან რა ამ თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცების ორმხრივ სურვილს, დელეგაციებმა ხელი მოაწერეს კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის ოქმსა და გეგმას, რომელიც ფართოდ მოიცავს თანამშრომლობას ხელოვნების, მეცნიერების, კინემატოგრაფიის, უმაღლესი განათლების, განათლების, საგამომცემლო საქმიანობის, რადიოსა და ტელევიზიის დარგში. კერძოდ, გათვალისწინებულია იუგოსლავური და შესაბამისად საბჭოთა გრაფიკის გამოფენის მოწყობა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სულ ცოტა სამ ქალაქში, საბჭოთა წიგნის გამოფენა ბელგრადში და იუგოსლავიის წიგნის გამოფენა მოსკოვში 1958 წლის მეორე კვარტალში. ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი საგასტროლოდ გაემგზავრება იუგოსლავიაში, ხოლო იუგოსლავიის სახალხო არმიის გუნდი — სსრ კავშირში და სხვ.

სსრ კავშირში ყოფნის დროს იუგოსლავიის დელეგაცია გაეცნო მოსკოვისა და ლენინგრადის კულტურულ და მეცნიერულ ცხოვრებას.

მოლაპარაკება წარმოებდა გულწრფელობის, ურთიერთ გაგებისა და მეგობრობის ატმოსფეროში.

* * *

1958 წლის 2 იანვარს კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტში ხელი მოაწერეს ოქმსა და გეგმას საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის 1958 წელს კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის შესახებ.

ორი დღე ფინეთში

„პატარა კატერების საშუალებით თბომავალი „გრუზია“ მძიმედ მოსწყდა ლენინგრადის ნავსადგურს და კურსი დასავლეთისაკენ აიღო.

გემი მიცურავდა ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკისაკენ. ვიღრე ჰელსინკის ნავსადგურს მივადგებოდით, „გრუზიამ“ ჩაუარა წიწვიანი ტყეებით დაფარულ მთელ რიგ კლდოვან კუნძულებს — შჰერებს. ეი ჰელსინკიც. ჩვენ შესახვედრად ნავსადგურში თავი მოუყრია უამრავ ხალხს. ეაინი მხურვალედ მოგვესალმებოდნენ. ყოველი მხრიდან ისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“

ჰელსინკი ფინეთის რესპუბლიკის დედაქალაქია, მას სულ ოთხი საუკუნის ისტორია აქვს.

ამჟამად ჰელსინკში ცხოვრობს 420 ათასი კაცი, რაც ფინეთის მოსახლეობის დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენს. ჰელსინკი შედგება ქალაქის ძველი დ, ახალი ნაწილისაგან. ფინეთის ეროვნული ცხოვრება უფრო ქალაქის ძველ ნაწილში ჩანს. ჰელსინკშია მრეწველობის მნიშვნელოვანი საწარმოები. იგი ელექტრომანქანათმშენებლობის დიდი ცენტრია.

ჰელსინკი ცნობილია საბჭოთა კავშირის გამოჩენილი ადამიანების ცხოვრების ისტორიაში. ვ. ი. ლენინი და მაქსიმ გორკი მეფის ხელისუფლებისაგან დევნის დროს თავშესაფარს პოულობდნენ ჰელსინკში. იმ პერიოდში ფინეთში იყო ი. ბ. სტალინი. ფინეთის სამრეწველო ქალაქ ტამპერეში, მუშათა სახლში, სადაც 1905 წელს პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ლენინი და სტალინი, ვ. ი. ლენინის მუზეუმია.

ნავსადგურიდან კომფორტაბელური ავტობუსებით გავემგზავრეთ ქალაქში. ვავლიდით სენატის მოედანზე, რომლის გარშემო კლასიკური არქიტექტურის შენობებია. აქვეა უნივერსიტეტის მთავარი კორპუსი, რომელიც აგებულია 1832 წელს. უნივერსიტეტს აქვს თავისი ბიბლიოთეკა, რომლის სლავურ განყოფილებას რუსული ლიტერატურის ყველაზე ძვირფასი კოლექცია აქვს სლავური ქვეყნების შემდეგ. აქვე დგას ტაძარი სუურკირკო, რომელსაც 30 წლის განმავლობაში აგებდნენ. ეს ტაძარი განთქმულია თავისი განიერი და მრავალსაფეხურიანი კიბეებით. სენატის მოედანზე დგას რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მეორის ძეგლი.

ყურადღებას იპყრობს პრეზიდენტის სასახლე. სასახლეზე აღმართულია სახელმწიფო დროშა. თუ იგი დაშვებულია, ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტი ქალაქში არ იმყოფება. პრეზიდენტის სასახლემი ჩერდებიან უცხოეთიდან ჩამოსული საპატიო სტუმრები. აქ გაჩერდა კ. ე. ვოროშილოვი ფინეთში ვიზიტის დროს.

ათენეუმში — ეროვნულ მუზეუმში დაცულია ფინური ხელოვნებისა და ძეგლების მნიშვნელოვანი კოლექციები. ქალაქის პარკებში და მოედნებზე ხშირად გვხვდება ფინეთის გამოჩენილ მოღვაწეთა ძეგლები.

ჰელსინკის სტადიონი 50 ათას მაყურებელს იტევს. ამ სტადიონზე მიმდინარეობდა მთელი რიგი საერთაშორისო ოლიმპიური ასპარეზობანი. სტადიონის კოშკის სიმაღლე 72 მეტრს უდრის, მასზე სატელევიზიო ანტენაა.

ტელენის ქუჩაზე (ტელენკატუ) არის სახლი № 46, სადაც მემანქანე ბლუმკვისტის ბინაში 46 წლის წინათ ცხოვრობდა ვ. ი. ლენინი. ბინის მოწყობილობა ამჟამად გადატანილია ტამპერეს ვ. ი. ლენინის მუზეუმში.

პატარა კუნძულებსა და ტბების სანაპიროებზე თაბაშირილია ფინეთის არისტოკრატიული და ფინანსური წრეების აგარაკები. ზოგიერთი კუნძული ერთი პიროვნების აგარაკს უჭირავს.

ფინური არქიტექტურის მხრივ აღსანიშნავია პარლამენტის შენობა, დიდი მაღაზიები (სტოკმანი, სოკოსი, ელანტო), სასკოლო შენობები და სხვ.

ჰელსინკის გარეუბნები (ტაპიოლა, პოჰიოის-ჰაავა, მაუნულა, ჰერტონიემი) ტყეში გაშენებული ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებენ.

ტაპიოლა მდიდრების რაიონია. სახლები აგებულია შუაგულ ტყეში, ერთმანეთისაგან დაშორებით. სახლებს ფართო და განიერი ფანჯრები აქვთ. მაგრამ არის შუშათა უბნები, სადაც ერთ ოთახში ხუთი და მეტი სული ცხოვრობს.

დავათვალიერეთ სტუდენტთა ქალაქი, მისი სპორტდარბაზი.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს ამ ინსტიტუტის სტუდენტთა ერთი მესამედი. სულ აგებულია 9 დიდი კორპუსი 400 ოთახით. ამ შენობისათვის, ისევე როგორც ჰელსინკის სხვა შენობებისათვის, დამახასიათებელია განიერი და ფართო ფანჯრები, რომლებსაც თითქმის მთელი კედელი უჭირავთ. კორპუსებშია საერთო სამზარეულო, საერთო აბაზანა, საპარიკმახერო.

ფინეთში არსებობს კანონი დაწყებით სკოლაში სავალდებულო სწავლების შესახებ. მიუხედავად ამ კანონის არსებობისა, ფინეთში ყოველწლიურად სკოლის გარეთ რჩება 25-30 ათასი ბავშვი.

ფინეთში 14 უმაღლესი სასწავლებელია, სადაც სწავლობს დაახლოებით 15 ათასი სტუდენტი, აქედან ჰელსინკის უნივერსიტეტში — 10 ათასამდე, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში — 2,5 ათასამდე და ა. შ. უმაღლესი სასწავლებლების უმეტესი ნაწილი თავმოყრილია ჰელსინკში. არის რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი, რომლებსაც კერძო კომპანიები ინახავენ. მუშებისა და გლეხების წრიდან ვამოსულისათვის ძნელია მოხვედეს უმაღლეს სასწავლებელში. სწავლა ყველა სასწავლებელში ფასიანია.

ფინეთში ეროვნულ თეატრს საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. სულ ფინეთში 31 თეატრია. აქედან ჰელსინკში 6. თეატრებში დგამენ უმთავრესად თანამედროვე ავტორების ნაწარმოებებს, კლასიკური რეპერტუარი ნაკლებია. რუსი კლასიკოსებიდან ჰელსინკის თეატრებში იდგმება ა. ჩეხოვის, ა. ოსტროვსკის, მ. გორკის, ლ. ტოლსტოის პიესები. ქალაქში შვედური თეატრიც არის.

პირველი მუსიკალური საზოგადოება ჰელსინკში XIX საუკუნის პირველ ნახევარში შეიქმნა. ეროვნული მუსიკის განვითარება დაკავშირებულია ცნობილი კომპოზიტორის იან სიბელიუსისა და მისი მოწაფეების სახელთან. ჰელსინკში სიბელიუსის სახელობის კონსერვატორია და მუსიკალური აკადემიაა. ოპერის თეატრში იდგმება პ. ჩაიკოვსკის ოპერები და ბალეტები, მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“ და სხვ.

ჰელსინკში ხშირად შეხვდებით ამერიკელი მილიონერების რეკლამებს. აქ არის ფორდის ავტოსარემონტო ქარხანა, რომელიც მანქანის ნაწილებსაც ამზადებს.

ჰელსინკი — ეს ჩრდილოეთის ქალაქი თავისი სუფთა პარკებით და ქუჩებით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს.

მეორე დღეს დავტოვეთ ჰელსინკი. ფინელებმა გულთბილად გაგვაცილეს.

თბომავალმა ჩაუარა შვეციის კუნძულებს გოტლანდს და ელანდს, შვეციის და დანიის სანაპიროებს.

„გრუზია“ შევიდა კილის ბუხტაში.

ი. ტაბაღუა.



ჰელსინკის ერთ-ერთი ქუჩა.

(გაგრძელება იქნება)

შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში

როგორც ვიუწყებოდით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ავსტრიის 60 სპორტსმენის მონაწილეობით ქ. ობერჰოფში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) გაიმართა შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში.

ასპარეზობაში გამარჯვება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენმა გ. რეანაველმა. მეორე ადგილზე გამოვიდა მ. ბოლკარტი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), მესამეზე — კ. წაქაძე (სსრ კავშირი).

რესპუბლიკური პირველობა ფეხბურთში

საქართველოს პირველობის გათამაშება ფეხბურთში გასული წლის 29 დეკემბრამდე ვაგრძელდა.

ახლა შეჯამებულია ასპარეზობის საბოლოო შედეგები. ჩემპიონი გახდა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი, რომელმაც 26 შეხვედრიდან ბურთების საერთო შეფარდებით 57:17 39 ქულა შეაგროვა.

ნეკროლოგი

ი. ა. შარლემანი

1957 წლის 31 დეკემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი მხატვარი და პედაგოგი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი იოსებ ადოლფის-ძე შარლემანი.

ი. ა. შარლემანი დაიბადა 1880 წელს, პეტერბურგში, გამოჩენილი მხატვრის ადოლფ შარლემანის ოჯახში. მხატვრული აღზრდა იქვე მიიღო. რამდენიმე ხანს მოგზაურობდა უცხოეთში.



სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ი. შარლემანი გატაცებით იწყებს შემოქმედებითს მუშაობას.

1918 წელს ი. შარლემანი ჩამოდის საქართველოში. მას იმდენად იტაცებს საქართველოს ბუნების სილამაზე, ისტორიული წარსული და ქართული კულტურის თავისებურება, რომ იგი საბოლოოდ რჩება ჩვენში.

დიდია ი. შარლემანის — შესანიშნავი მხატვრის, ფართო კულტურისა და მაღალი ოსტატობის მქონე ხელოვანის ღვაწლი თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსების საქმეში, რომელსაც სხვა თვალსაჩინო ქართველ და რუს მოღვაწეებთან ერთად მან საფუძველი ჩაუყარა. ი. შარლემანმა ჩამოაყალიბა აკადემიაში გრაფიკის ფაკულტეტი, დაუცხრომლად ზრუნავდა ქართული წიგნის მხატვრული კულტურის ამაღლებისათვის. მისი მაღალი ოსტატობით შესრულებული წიგნის ილუსტრაციები და დაზგური სურათები ჩვენი კულტურის თვალსაჩინო შენაძენია.

განსაკუთრებით დიდია ი. შარლემანის ღვაწლი პედაგოგიური მოღვაწეობის ასპარეზზე.

ქართველი ხალხი არასოდეს არ დავიწყებს ი. შარლემანის ამაგს, მის ნაყოფიერ მოღვაწეობას ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების ამაღლებისა და განვითარების საქმეში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო
თბილისის სამხატვრო აკადემია
საქართველოს მხატვართა კავშირი

რედაქტორი პ. რატიანი.

რატომ არ არის ბაზარზე ქართული კალენდარი?

კალენდარს, გარდა დროის აღრიცხვისა, ამა თუ იმ ერის, ხალხის ცხოვრებაში დიდი კულტურული და საგაზეთაციო მნიშვნელობა აქვს. იგი ასახავს წარსულსა და აწმყოს. მისი ყოველი ფურცელი მოგვაგონებს მთელ რიგ ღირსშესანიშნავ თარიღებს, მოგვითხრობს გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ასახავს ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკურ წყობას, იძლევა მთელ რიგ სასარგებლო ცნობებს და საინტერესო საკითხავ მასალას. ამიტომ ბუნებრივია, რომ მას გამოსვლას ყოველი წლის დასაწყისში ინტერესით ელოდებიან.

მაგრამ ლოდინი ქართველ მოსახლეობას ახალი წლისათვის არ გაუმართლდა. კალენდარი ბაზარზე არ გამოსულა. ეს დიდი საქმე ჩაშალა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს „მთავარობილგრაფუგამომცემლობის“ თბილისის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატმა, რომელსაც იგი გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დაკვეთით უნდა შეესრულებინა.

ჩვენთვის გაუგებარი გრაფიკით (ახალი წლის კალენდარი უნდა მომზადდეს სამი თვით ადრე მაინც) 1958 წლის მაგიდის კალენდრის 30 ათასი ცალი ბაზარზე უნდა გამოსულიყო 20 დეკემბრისათვის, ხოლო კედლის კალენდრის 50 ათასი ცალი — 29 დეკემბრისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სტამბას დროზე გადაეცა ორიგინალი, მასალის აწყობა დაგვიანებით — სექტემბერსა და ოქტომბერში დაიწყო. 2 დეკემბრის შემდეგ სტამბას თუმცა არავითარი შესწორებები აღარ მისვლია, მაგრამ სასიგნალო ეგზემპლარი მხოლოდ 27 დეკემბრისათვის იყო მზად.

ორიოდე სიტყვა კალენდარის ხარისხზეც (შემდგენლები ე. ტოროტაძე, ა. გვასალია, კ. ელიაშვილი, რედაქტორი ბ. დარსაძე). კედლის კალენდარი, რომელსაც ასე გვიან მიიღებს მოსახლეობა, დაბეჭდილია ცუდ ქაღალდზე, ტექნიკური თვალსაზრისით შესრულებულია უხარისხოდ, მასში დაბეჭდილი მასალების დიდი რაოდენობა არასაინტერესო და ტრაფარეტულია, არის გაუგებრობანი, არასწორი დებულებანი. მაგალითად, კალენდარში არ არის შეტანილი ისეთი დიდი მოვლენა, როგორიცაა დედამიწის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრების გაშვება, როცა ამის შესაძლებლობა ჰქონდათ — ჩასწორება ხომ 2 დეკემბრამდე ვრძელდებოდა!

ერთი თვალის გადაგლეცვითაც კი შეამჩნევთ მთელ რიგ შეუსაბამობებს. მაგალითად, 8 ნოემბრის ფურცელზე კითხულობთ: „1917 — სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობამ გამოაცხადა მთელი ხელისუფლების საბჭოების ხელში გადასვლის შესახებ“. უნდა ყოფილიყო „საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობამ გამოაცხადა მთელი ძალაუფლების გადასვლა საბჭოების ხელში“. 17 მარტის ფურცლის მეორე გვერდზე: „ცილები არის ძირითადი მასალა, რომელიც ქსოვილებისა და ადამიანის სხეულის აგებას ხმარდება, ამავე დროს ცხიმები ენერგიის წყაროა“. ვერ გავიგეთ, რაზეა ლაპარაკი — ცილებზე თუ ცხიმებზე?

სამწუხაროა, რომ წელსაც ქართული კალენდარი ასეთი უფერული და სტანდარტულია. იმედია, რომ შემდგენლები და გამომცემლები ამ შენიშვნებს მიიღებენ მხედველობაში და შემდეგში მაინც ეცდებიან ვამოსცენ მაღალხარისხოვანი და საინტერესო კალენდარი.

ე. მამალაძე.

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ოპერისა და ბალეტის — გორდა (დილას), **რუსთაველის სახელობის** — ახალგაზრდა მასწავლებელი (დილას), ფილოსოფიის დოქტორი (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — წიწამური (დილა-საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — კიკვიძე (დილა-საღამოს), **სომხური დრამის** — მეფე ჩახჩახი (დილას), სამეული (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — სამი პატარძალი (დილას), დინარა (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — სომბერერო (აბონემენტი № 23, 10 ს. და აბონემენტი № 36, 2 ს.), ბაში-აჩუკი (აბონემენტი № 18, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ზღაპარი ზღაპრებზე (10 ს.), ჩექმებიანი კატა (3 ს.), **თოჯინების ქართული** — დათუნიას სამართალი (12 ს.), დიდი ივანე (3 ს.), **ფილარმონია** — ახალგაზრდობის საახალწლო საღამო (საზამთრო თეატრი, 8 ს.).

მეუღლე ნადია, შვილი ბორის, რძალი იულია; მოსე, გურია, ალექსანდრე ბესელიები იუწყებიან

ფილიპე ბეჩუს-ძე ბესელიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-I, 7 ს. გამოსვენება 7-I, 4 ს. რაზმაძის ქ. № 49.

შვილები ლამარა, გივი, ავთანდილ არაბულები. ძმა დავით, რძალი